

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი



ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ავტორი: ნინო გვარაკიძე

მეუღლეთა მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე
არსებული თანასაკუთრების რეჟიმი

სამეცნიერო ხელმძღვანელი
გიორგი რუსიაშვილი
თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სამართლის დოქტორი

თბილისი

2019

სარჩევი

შესავალი.....	4
I. მეულღეთა თანასაკუთრება.....	6
1.1 თანასაკუთრებაში არსებული ქონების ცნება და სახეები.....	6
1.2 მეულღეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველი.....	10
1.2.1 საკუთრების უფლების მიმოხილვა.....	11
1.2.2 ქორწინება, როგორც თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველი	12
II. მეულღეთა თანასაკუთრების სახეები.....	16
2.1 თანხმობა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე.....	16
2.2 საჯარო რეესტრის როლი მეულღეთა ქონებრივ ურთიერთობებთან მიმართებაში.....	19
III. ინდივიდუალური და თანაზიარი საკუთრების გამიჯვნა.....	22
3.1 ქორწინების პერიოდში და ქორწინებამდე ჩუქების საფუძველზე შეძენილი ქონების სამართლებრივი რეჟიმი.....	24
IV. თანასაკუთრების გაყოფა მეულღეთა შორის.....	25
4.1 საერთო ქონების გაყოფა.....	25
4.1.1 ნივთები, რომელზეც არ ვრცელდება თანასაკუთრების რეჟიმი.....	28
4.2 მეულღეთა ვალდებულებების გაყოფის წესი.....	30
4.2.1 საკუთრების გაყოფის წესი მეულღეთა შორის არსებულ ვალდებულებებზე- „ვალები“.....	30
V. საქორწინო კონტრაქტი, როგორც მეულღეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთი საფუძველი.....	33
5.1 საქორწინო კონტრაქტის არსი.....	33
5.1.1 საქორწინო ხელშეკრულების აქცესორული ბუნება.....	36
5.1.2 საქორწინო კონტრაქტის აქტუალობა და მისი როლი ქართულ საზოგადოებაში.....	36
5.1.3 საქორწინო კონტრაქტის მოქნილობა-„ნების ავტონომია“.....	39
5.1.4 საქორწინო კონტრაქტის თავისებურება, კანონით დადგენილი აკრძალვები.....	40

5.2	საქორწინო კონტრაქტის ფორმა.....	45
5.3	საქორწინო კონტრაქტის შინაარსი.....	46
5.4	საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტა.....	50
5.5	საქორწინო კონტრაქტის ბათილობა.....	52
	დასკვნა.....	53
	ბიბლიოგრაფია.....	56

შესავალი

დაქორწინებისას, მეუღლეები ქმნიან ერთობლივ მეურნეობას. ბუნებრივია, რომ მისი წარმართვა დაკავშირებულია გარკვეული ქონების განკარგვასთან, რომელიც შესაძლოა ეკუთვნოდეს მათ დაქორწინებამდე ან შეძენილი იქნა ქორწინების პერიოდში. ქონების შეძენის ხერხსა და დროზეა დამოკიდებული იქნება თუ არა ქონება მეუღლეთა თანასაკუთრება თუ იქნება ერთ–ერთი მეუღლის ინდივიდუალური საკუთრება. ზოგიერთ ცხოვრებისეულ სიტუაციებში მოცემულ ვითარებებს აქვთ გადაწყვეტი მნიშვნელობა, ამიტომ, ვფიქრობ, ამ ფართო თემის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გამოკვლევა საინტერესო იქნება.

საოჯახო კოდექსმა დაადგინა მეუღლეთა მიერ ქონების გამოყენების ორი რეჟიმი: კანონიერი და ხელშეკრულებითი. ამა თუ იმ რეჟიმის არჩევა დამოკიდებულია ცოლის და ქმრის ნება–სურვილზე. თუ საქორწინო კონტრაქტი, რომელიც იძლევა საშუალებას დადგინდეს ქონებრივი უფლებამოსილებანი საკუთარი სურვილისამებრ, არ არის გაფორმებული, მაშინ მეუღლეებს მათი ქონების მიმართ, შეძენილის ქორწინების პერიოდში, მოქმედებს კანონიერი რეჟიმი. განსახილველ სამაგისტრო ნაშრომში ორივე რეჟიმზე დეტალურად ვისაუბრებთ.

სამოქალაქო სამართალი დეტალურად განიხილავს ყველა ასპექტს დაკავშირებულს მეუღლეთა საკუთრებაში არსებული ქონების საკითხებთან. მეუღლეთა მიერ ქორწინების პერიოდში შეძენილ ქონებაზე არსებობს თანასაკუთრების რეჟიმი, რომლებიც რეგულირდება ორგვარად: კანონის ძალით და კონტრაქტით და სწორედ ამ ორ რეჟიმზე მოვახდენთ ყურადღების გამახვილებას. კვლევის პროცესში გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდი და ამისათვის გამოყენებულია მეცნიერ–იურისტთა ნაშრომები, რათა მოხდენილიყო კანონმდებლობაში არსებული ყველა საკითხის და ნიუანსის დეტალური განხილვა. კვლევა წარმოებული იქნა სამეცნიერო ნაშრომების, წიგნების, სტატიების და სხვა იურიდიული ლიტერატურის დახმარებით.

კვლევის მიზანს წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების სამართლებრივი რაკურსით განხილვა. აღნიშნული საკითხი ძალზედ მნიშვნელოვანია და საინტერესოა როგორც იურისტებისათვის, ისე რიგითი მოქალაქეებისთვის, ვისთვისაც საინტერესოა საკუთარი ფინანსური ინტერესების დაცვის მექანიზმები და კანონმდებლის მიერ სამოქალაქო კოდექსში ჩამოყალიბებული ნორმების ანალიზი.

ნაშრომში განხილული იქნა მეუღლეთა თანასაკუთრება, კერძოდ, დასაწყისისათვის განვიხილავ ქონების ცნებას და სახეებს. რაც ვფიქრობ მნიშვნელოვანია, რათა დაზუსტებული იქნას თუ რას თვლის ქონებად სამოქალაქო კოდექსი და რა სახის ქონება შეიძლება მოექცეს მეუღლეთა თანასაკუთრებაში. აღნიშნული საკითხის კვლევისას ვისაუბრებთ როგორც მატერიალური ისე არამატერიალურ ნივთზე, მათ სამართლებრივ რეჟიმზე და რეგულირების საშუალებებზე. ბუნებრივია თემის დასაწყისში განვიხილავთ

საკუთრებას, კერძოდ მის სამართლებრივ ბუნებას, ხოლო შემდგომ განხილული იქნება თანასაკუთრების საფუძველი.

მომდევნო თავში, საუბარი შეეხება ისეთ საკითხს, როგორც არის თანასაკუთრების სახეები და მათი სამართლებრივი რეჟიმი და საუბარი შეეხება ინდივიდუალურ და საერთო ანუ თანაზიარ საკუთრებას. კერძოდ, ვისაუბრებთ იმაზე თუ რა სახის ქონებას თვლის სამოქალაქო სამართალი ინდივიდუალურ საკუთრებად, რატომ ხდება ამ სახის საკუთრების გამოყოფა, რა შემთხვევაში შეიძლება ინდივიდუალური ქონების მოქცევა საერთო საკუთრებაში და რა უფლებები გააჩნია ამ ქონების მესაკუთრე მეუღლეს. აგრეთვე ვისაუბრებთ საერთო ანუ თანაზიარ საკუთრებაზე. კერძოდ, რა სახის ქონება, როდის და რა შემთხვევაში შეიძლება მოექცეს თანაზიარ საკუთრებაში. ვისაუბრებთ თანაზიარი ქონების სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოებზე.

შემდეგ თავში საუბარი შეეხება საერთო საკუთრების გაყოფას მეუღლეთა შორის. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო საკითხი, რომელიც პრაქტიკაში ძალზედ ხშირად გვხვდება. საერთო და ინდივიდუალური საკუთრების გაყოფის რეჟიმი, საკმაოდ დეტალურად არის გაწერილი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1164-1170 მუხლებში. აღნიშნულ მუხლებში ზედმიწევნით სრულად არის გათვალისწინებული როგორც საერთო ქონების გაყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, ისე პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ქონების საკუთრების გადაცემის ღირებულების გათვალისწინებით მეორე მეუღლისათვის გადასაცემი კომპენსაცია. აგრეთვე ამავე თავში ვისაუბრებთ საერთო ქონების გაყოფაზე ქორწინების განმავლობაში. ზოგჯერ არის შემთხვევები, როდესაც ერთ-ერთ მეუღლეს ესაჭიროება განსაზღვრული ქონება პირადი გამოყენებისათვის, სწორედ ამიტომ კანონმდებელი უშვებს შესაძლებლობას, რომ მოხდეს საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გაყოფა მეუღლეებს შორის. სწორედ ასეთი გაყოფის სამართლებრივ რეგულირებაზე ვისაუბრებთ ნაშრომის ამ თავში.

ამავე თავში მეორე ქვეთავად კი განხილული იქნება მეუღლეთა ვალდებულებების გაყოფის წესზე. მეუღლეებს აქვთ არა მხოლოდ ქონება და უფლებები, არამედ მათ შეიძლება გააჩნდეთ ვალდებულებები კრედიტორების მიმართ. სწორედ ამ საკითხზე გამახვილდება ყურადღება ამ ქვეთავში. განვიხილავ მეუღლეთა საერთო ვალების გაყოფის წესს, ანუ იმ ვალების, რომლებიც აღებული იქნა ოჯახის ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, რომელიც მოხმარდა ოჯახის კეთილდღეობას. აგრეთვე განხილული იქნება ერთ-ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესზე. ამ საკითხთან დაკავშირებით კანონმდებელი რეგულირების რამდენიმე საშუალებას გვაძლევს. კერძოდ, ვალის წარმოშობა, მისი მიზანი და ხერხი განსაზღვრავს მისი დაფარვის საშუალებებს.

ბოლო თავში განხილული იქნება ერთ–ერთი ვფიქრობ ყველაზე საინტერესო ინსტიტუტი, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებას ეხება და ეს არის საქორწინო კონტრაქტი. სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე ამ სახის ხელშეკრულებები ნაკლებად გამოიყენება და ვფიქრობ, რომ ეს უნდა გამოსწორდეს. კანონმდებელი საკმაოდ დეტალურად და სამართლიანად არეგულირებს საქორწინო კონტრაქტის შედგენა–რეგულირების საკითხებს. სწორედ ამიტომ, ნაშრომში საქორწინო ხელშეკრულება გამოკვლეული იქნება დეტალურად.

დღესდღეობით მოქალაქეები სამწუხაროდ ნაკლებად არიან ინფორმირებულნი საკუთარი უფლებების შესახებ. ამ ინფორმაციის ნაკლებობა და იურიდიული გაუნათლებლობა სამწუხაროდ მძიმე შედეგებისკენ უბიძგებს მოქალაქეებს. ელემენტარული სამოქალაქო ნორმების უცოდინრობის გამო და კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის მიუღებლობის გამო ხშირად კრედიტორების დაკმაყოფილება ხდება ორივე მეუღლის საკუთრებიდან მაშინ, როდესაც მეორე მეუღლე არ იყო პასუხისმგებელი აენაზღაურებინა ვალის მქონე მეუღლის პირადი სარგებლობისათვის დახარჯული კრედიტის თანხა. სწორედ ასეთი და მსგავსი საკითხების მოსაგვარებლად ჩატარებული იქნა კვლევა და ნაშრომში დეტალურად იქნება ჩამოყალიბებული კვლევის შედეგად მიღებული სამართლებრივი ანალიზი.

I. მეუღლეთა თანასაკუთრება

1.1 თანასაკუთრებაში არსებული ქონების ცნება და სახეები

მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონება ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს მატერიალურ სიკეთეებს, კერძოდ, ესენია მოძრავი და უძრავი ნივთები, რომელთა შექმნაც მოხდა ქორწინების პერიოდში მეუღლეთა ერთობლივი ბიუჯეტიდან. თუმცა სანამ ამ ქონების თანასაკუთრების საკითხზე ვისაუბრებდეთ მსურს გავამახვილო ყურადღება ქონების სამართლებრივ დეფინიციაზე, კერძოდ რას თვლის ქართველი კანონმდებელი ქონებად და მის სახეებად.

ქონება, კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექმნაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით, ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. მოცემული დებულების თანახმად კანონმდებელი ქონებად თვლის როგორც მატერიალურ (ნივთი), ისე არამატერიალურ ქონებას და ბუნებრივია სამოქალაქო კოდექსში მოცემულია ნივთის და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის განმარტებანი. უფრო უკეთ რომ დავაზუსტოთ, სამოქალაქო კოდექსის 7-ე მუხლის თანახმად, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების

მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული. შესაბამისად, ამ მუხლის დაცვის ობიექტს წარმოადგენს „ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე“. ქონებრივ ანუ მატერიალურ სიკეთეში კანონმდებელი მოიაზრებს კონკრეტულ (უძრავ ან მოძრავ) ნივთებს, ხოლო არაქონებრივ (არამატერიალურ) სიკეთეში კი პატივს, საქმიან რეპუტაციას, ღირსებას და ა.შ.

სამოქალაქო კოდექსის გაგებით, ქონება არის ფიზიკური ან იურიდიული პირის ფულადი ღირებულების მქონე მოძრავი ან უძრავი ნივთი, ასევე მოთხოვნა და უფლება და რომელთა ფლობა და განკარგვა არ არის კანონით აკრძალული და არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.¹

ნივთის დეფინიციას, სამოქალაქო სამართალი არ იცნობს, რადგან კოდექსში აღნიშნული არ არის განმარტებული, არამედ 148-ე მუხლში საუბარია მხოლოდ ნივთის სახეებზე, კერძოდ, მოძრავ და უძრავ ნივთებზე. ნივთის განმარტებას იძლევა ბესარიონ ზოიძე თავის ნაშრომში, სადაც იგი განმარტავს „ნივთი ეწოდება პიროვნულობას მოკლებულ, ბრუნვაუნარიან სხეულებრივ საგანს, რომლის ფიზიკურად შემხებლობა, მგრძობელობით აღქმა ან ფლობა არის შესაძლებელი.“²

მეუღლეთა თანასაკუთრების ობიექტი შეიძლება იყოს როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონება.

იურიდიულ ლიტერატურაში მოძრავი ნივთის კლასიფიკაცია განხილულია სხვადასხვა ნიშნების მიხედვით. იმისათვის, რომ საგანი მიჩნეულ იქნას ნივთად, სულაც არ არის აუცილებელი მისი შემადგენლობა იყოს მყარი მატერიისაგან. ნივთი შეიძლება იყოს თხევადი ან აეროვანი საგანი, რამდენადაც მისი ფლობა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შესაძლებელია, მაგალითად, მიღებში არსებული ბუნებრივი გაზის ან წყლის გაზომვა შესაბამისი ხელსაწყოების გამოყენებით. ამ შემთხვევაში ბუნებრივი გაზი და წყალი არის ნივთი. ამასთან, შესაძლებელი უნდა იყოს ნივთების ერთმანეთისგან განცალკევება და შემოსაზღვრა, მაგალითად, ნივთის მოთავსება ჭურჭელში: წყალი – ბოთლებში, ბენზინი – ავზში ან გაზი – ბალონებში.³

სამოქალაქო კოდექსის გაგებით, ნივთი არ არის მოდინარე წყალი, ზღვა, თოვლი ან ატმოსფერული ჰაერი. ასეთ საგნებს ხშირად საერთო სარგებლობის ნივთებს უწოდებენ,

¹ თოთლაძე ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 2016 <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/07/Artikel-147.pdf>

² ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2003, გვ. 26-28

³ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 2017 http://civilcode.ge/index.php?title=%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98_148_%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

ვინაიდან ისინი თავიანთი არსით არ შეიძლება ვინმეს საკუთრებაში იყვნენ.⁴ იმ შემთხვევაში, თუ მოხდება მათი ფლობა, მაგალითად, საცურო აუზში მდინარის წყლის ჩაშვება, მაშინ შესაძლებელია, იგი უფლებების ობიექტად იქცეს.⁵

განსხვავებით მოძრავი ნივთებისაგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემულია უძრავი ნივთის დეფინიცია. უძრავ ნივთებს განეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

მიწის ნაკვეთი არის დედამიწის ზედაპირის ნაწილი, რომელიც სივრცობრივად განსაზღვრულია და საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია საკადასტრო კოდიტ. მიწის ნაკვეთს განეკუთვნება ასევე მიწის ნაკვეთის ქვეშ მდებარე სივრცე.⁶ დეფინიციის თანახმად, მიწის ნაკვეთს განეკუთვნება მიწაში არსებული წიაღისეული და მასზე აღმოცენებული მცენარეები. ნორმა მოიცავს ყველა სახის მცენარეს (ხე, ბუჩქი, ბალახი) და არ ანიჭებს მნიშვნელობას იმ გარემოებას, თუ რამდენად მყარად არის მცენარე ფესვებით დაკავშირებული მიწასთან. მიწის ნაკვეთის ცნება მოიცავს, ასევე, გაუშენებელ ტერიტორიასაც.⁷ უძრავ ნივთებს განეკუთვნება მიწაზე მყარად განლაგებული შენობა-ნაგებობები, რომლებიც მყარად დგას მიწაზე. ამავე დროს, 150 II მუხლის თანახმად, შენობა-ნაგებობები არის მიწის ნაკვეთის არსებითი შემადგენელი ნაწილი.⁸

ნივთების დაყოფა მოძრავ და უძრავ ნივთებად არ არის ნივთების ერთადერთი კლასიფიკაცია. აღიარებული შეხედულებების თანახმად, მოძრავი ნივთები იყოფა: შეცვლად და შეუცვლად, გვაროვნულ და ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ, მოხმარებად და მოუხმარებად ნივთებად. სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებისაგან განსხვავებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამგვარ კლასიფიკაციას ლეგალური დეფინიციების დონეზე არ იცნობს. ამიტომ, არსებითად, საუბარია მოძრავი ნივთების დოგმატურ, მეცნიერულ კლასიფიკაციაზე.⁹ სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, კონკრეტული სამართლებრივი შედეგები უკავშირდება გვაროვნული და ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ ნივთებს.¹⁰

⁴ ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 33

⁵ Stressem Stresemann D., in Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 7. Aufl. München, 2015, § 90, Rn. 8-9

⁶ ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 1999, გვ. 23

⁷ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 145

⁸ იქვე, გვ. 151

⁹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 147-148

¹⁰ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2017

http://civilcode.ge/index.php?title=%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98_148_%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

გვაროვნულ ნივთებს განეკუთვნებიან ის საგნები, რომლებიც ხასიათდებიან ზოგადი ნიშნებით, როგორებიცაა: ნივთების ბუნებრივი, ტექნიკური ან ეკონომიკური თვისებები¹¹ (მაგალითად, კონკრეტული ხარისხის ცემენტი). თუ ვალდებულების შესრულების საგანია გვაროვნული ნივთი, ის განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. მხარეებს შეუძლიათ, კონკრეტულად განსაზღვრონ გვაროვნული ნივთის თვისებები (მაგალითად: ფერი, ზომა და ა.შ.). როგორც წესი, გვაროვნული ნივთით შესრულების ვალდებულება ხორციელდება შეცვლადი ნივთების მეშვეობით. შეცვლადი ნივთები სამოქალაქო ბრუნვაში განისაზღვრება რაოდენობით, ზომით ან წონით,¹² გვაროვნულ ნივთად მიჩნევისათვის მნიშვნელოვანია, რომ ნივთი იმავე გვაროვნული ნივთებისაგან ინდივიდუალური ნიშნებით არ გამოირჩეოდეს.¹³ ნივთი გვაროვნულია თუ ინდივიდუალური, განისაზღვრება სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით. ფულიც არის გვაროვნული ნივთი, რადგან მნიშვნელოვანია არა კონკრეტული ბანკნოტების არსებობა, არამედ ბანკნოტებით გამოხატული თანხის ოდენობა. ცალკეულ ბანკნოტებზე აღნიშნულ ნომერს სამოქალაქო ბრუნვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება.¹⁴

ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი სახეზეა, თუ ვალდებულების შესრულების საგანი მხარეთა შეთანხმების საფუძველზე კონკრეტულად განსაზღვრულია და მოვალეს სხვა ნივთით ვალდებულების შესრულება არ შეუძლია.¹⁵ ინდივიდუალურად განსაზღვრულია ისეთი ნივთები, რომლებიც ატარებენ განსხვავებულ და განსაკუთრებულ ნიშან-თვისებებს და ხასიათდებიან ამ თვისებებით, კერძოდ: ხელოვნების ნიმუშები, შემკვეთის ნება-სურვილის მიხედვით დამზადებული ავეჯი ან ნახატი და ა.შ.

აგრეთვე ქონებრივ სიკეთეს წარმოადგენს არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განმარტავს შემდეგნაირად: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე. განვიხილოთ აღნიშნული ეტაპობრივად.

„მოთხოვნას“ 316-ე მუხლი განმარტავს, როგორც კრედიტორის უფლებამოსილებას, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ასევე, 128 I მუხლში მოცემულია

¹¹ Emmerich, in MüKo BGB, 7. Aufl., 2016, § 243, Rn. 6

¹² ზოიბე ბ., ქართული სანივთო სამართალი, 2003, გვ. 36; კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 194-195

¹³ Stresemann D., in Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 7. Aufl. München, 2015, §91, Rn. 1

¹⁴ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 2017

http://civilcode.ge/index.php?title=%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98_148_%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98

¹⁵ Emmerich V., in Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 7. Aufl., München, 2016, § 243, Rn. 9

„მოთხოვნის უფლების“ ცნება, როგორც სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების უფლება.¹⁶ „უფლება“ არის სამართლებრივი ნორმების საფუძველზე ინდივიდისათვის თავისი ინტერესების განსახორციელებლად მინიჭებული უფლებამოსილება.¹⁷ უფლებათა რიგს განეკუთვნება არამატერიალური ქონებრივი უფლებები, როგორებიცაა, მაგალითად: პატენტის მფლობელის უფლება, სასაქონლო ნიშნის მფლობელის უფლება, საავტორო და მომიჯნავე უფლებები და სხვ.¹⁸

არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს განეკუთვნება ასევე წილები და აქციები. სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს წილის დეფინიციას და მას არც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს. წილი ეწოდება საზოგადოებაში პარტნიორის უფლებებისა და მოვალეობების ერთობლიობას, რომელიც პირს აქვს საზოგადოების წევრობიდან გამომდინარე.¹⁹

ნებისმიერი სახის ქონების გასხვისება არის შესაძლებელი, იქნება ეს მატერიალური თუ არამატერიალური, ანუ მოძრავი ან უძრავი ნივთი, თუ უფლება და მოთხოვნა. ნებისმიერი სახის ქონებას აქვს გასხვისების თავისი მარეგულირებელი ხერხები და საშუალებები და შესაბამისად მათი თანასაკუთრების რეჟიმში მოხვედრა შესაძლებელია. ანუ მეუღლეებს შეუძლიათ ფლობდნენ როგორც ნივთს, ისე მაგალითად პატენტს, საავტორო უფლებას ერთობლივ ნამუშევარზე და ა.შ.

1.2 მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველი

ოჯახში ყოველ მეუღლეს თავისი მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ესაჭიროება გარკვეული ქონება, რომლის შეძენა ხდება ოჯახის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით. ყოველი ოჯახის წევრს აქვს თავისი მოვალეობები და მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე მუშაობს და გამოიმუშავებს ფულად სახსრებს ნებისმიერი ქონება, რომელიც შეძენილი იქნება ქორწინების პერიოდში, ითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის

¹⁶ თოთლაძე ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 2017
<http://civilcode.ge/index.php?title=%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%99%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AA%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90>

¹⁷ Schwab D./Löhnig M., Einführung in das Zivilrecht: mit BGB-Allgemeiner Teil, Schuldrecht Allgemeiner Teil, 19. Aufl, München, 2012, S. 79, Rn. 183

¹⁸ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 155

¹⁹ ჭანტურია ლ./ ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, გვ. 270

გათვალისწინებული. მაგრამ სანამ ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებაზე დავიწყებდეთ საუბარს არ შემიძლია არ გავამახვილო ყურადღება თავად საკუთრების დეფინიციაზე.

1.2.1 საკუთრების უფლების მიმოხილვა

საკუთრების უფლება წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, რომლის გარეშეც შეუძლებელია ნებისმიერი დამოუკიდებელი, დემოკრატიული და სუვერენული სახელმწიფოს არსებობა. საკუთრების უფლება ადამიანის არა მარტო არსებობის ელემენტარული საფუძველია, არამედ უზრუნველყოფს მის თავისუფლებას, მისი უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვას.²⁰ იმავდროულად, კერძო საკუთრება, როგორც ინსტიტუტი, საბაზრო ეკონომიკის ბირთვს წარმოადგენს. შესაბამისად, ის არის არა მხოლოდ მესაკუთრეებს შორის ეკონომიკური კონკურენციის, არამედ, ასევე, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა.²¹

საკუთრების უფლება არის ელემენტარული ძირითადი უფლება, რომელიც მჭიდრო კავშირშია ადამიანის პიროვნულ თავისუფლებასთან. მისი დანიშნულება არის თითოეულ ინდივიდს შეუქმნას თავისუფალი სივრცე ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისა, რაც მას საშუალებას მისცემს საკუთარი პასუხისმგებლობით მოაწყოს პირადი ცხოვრება.²² საკუთრების უფლებისა და პიროვნული თავისუფლების უფლების ურთიერთკავშირი შინაგანია და ამ კავშირში საკუთრების უფლება ასრულებს პიროვნული თავისუფლების უზრუნველყოფი ფაქტორის ფუნქციას.²³ სხვა მხრივ, საკუთრების უფლების შეზღუდვა, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს პიროვნული თავისუფლების შეზღუდვას. პირიქით, მისი მიზანია ურთულეს საზოგადოებრივ ურთიერთობებში ისეთი ოპტიმალური საკუთრებითი რეჟიმის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელს გახდის პიროვნების უნარისა და შესაძლებლობების ფართოდ განვითარებას.²⁴

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება

²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება #1/2/384, 2007 წლის 2 ივლისი

²¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება #1/2/384, 2007 წლის 2 ივლისი

²² თოთლაძე ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 2016 <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/07/Artikel-170.pdf>

²³ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, გვ. 72

²⁴ ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, თბილისი, 2001, გვ. 109

მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. აღნიშნულის თანახმად, საკუთრება შეიძლება ეხებოდეს როგორც მატერიალურ ქონებას, ანუ ნივთს, ისე არამატერიალურ სიკეთეს. 170-ე მუხლი არის ლიბერალური საზოგადოებრივი წესრიგის გამომხატველი ნორმა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის მიერ კანონიერად მოპოვებული ქონების დაცვას და ამით იგი თავიდან იცილებს შიდასაზოგადოებრივ კონფლიქტებს.²⁵ საკუთრების შინაარსი მდგომარეობს ამ უფლების ექსკლუზიურობაში, რაც ანიჭებს უფლებას მესაკუთრეს ერთპიროვნულად განკარგოს თავისი ქონება და არ დაუშვას მესამე პირების ჩარევა მის განკარგვა-სარგებლობაში. საკუთრების უფლების ექსკლუზიურობა პირს აძლევს ძალაუფლებას, დაუპირისპირდეს სხვა ნებისმიერი პირის ჩარევას.²⁶

1.2.2 ქორწინება, როგორც თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველი

თანასაკუთრება, ანუ საერთო საკუთრება სამოქალაქო კოდექსის ორ მუხლშია განხილული, პირველად გვხვდება 173-ე მუხლის დეფინიციაში, სადაც საუბარია საერთო საკუთრებაზე ზოგადად, ხოლო მეორედ გვხვდება 1158-ე მუხლში, სადაც საუბარია მეუღლეთა თანასაკუთრებაზე. გაგნვიხილოთ ჯერ თანასაკუთრების ზოგადი რეჟიმი.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის დებულება შემდეგია: საერთო (თანაზიარი და წილადი) საკუთრება წარმოიშობა კანონის ძალით ან გარიგების საფუძველზე. თითოეულ თანამესაკუთრეს შეუძლია მოთხოვნები წარუდგინოს მესამე პირებს საერთო საკუთრებაში არსებული ქონების გამო. ყოველ თანამესაკუთრეს აქვს ნივთის გამოთხოვის უფლება მხოლოდ ყველა თანამესაკუთრის სასარგებლოდ. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ მოცემული ნორმა ეხება მოძრავ და უძრავ ნივთებს, რომელიც შეიძლება იყოს რამდენიმე პირის საკუთრება და ამ საკუთრების ორი ფორმაა მოცემული კანონმდებლის მიერ: საზიარო და წილადი საკუთრების სახით. წილადი საკუთრების თანამესაკუთრეს ეკუთვნის განსაზღვრული წილი საერთო საკუთრებაში.²⁷ თანაზიარი საკუთრება კი არსებობს მაშინ, როცა თითოეული თანამესაკუთრის წილი საერთო ქონებაშია იდეალური წილის სახით და, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ივარაუდება, რომ თითოეულ თანამესაკუთრეს ეკუთვნის თანაბარი წილი.²⁸

²⁵ თოთლაძე ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 2016 <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2016/07/Artikel-170.pdf>

²⁶ ზარანდია თ./ჯუღელი თ., საკუთრების უფლების ექსკლუზიური ხასიათი და საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება, 2012, გვ. 300

²⁷ ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, 1999, გვ. 89

²⁸ თოთლაძე ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 2017 http://civilcode.ge/index.php?title=%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98_173_%E1%83%98

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლი ადგენს: მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

ოჯახში მეუღლეთა ქონებრივი უფლებების და ინტერესების დაცვა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და პრეროგატიულ საკითხს ქართულ კანონმდებლობაში. სამწუხაროდ დღესდღეობით ის დედები, რომელნიც დასაქმებულნი არიან კერძო სექტორში გარკვეული მიზეზების გამო ხშირად უარს ამბობენ სამსახურზე და კარიერაზე და აქცენტს ბავშვის აღზრდაზე აკეთებენ, ხოლო როდესაც დღის წესრიგში დგება ქონების გაყოფის საკითხი, ის ოჯახის წევრები, რომელთაც მატერიალური დოვლათი შემოჰქონდათ აცხადებენ პრეტენზიას ამა თუ იმ ნივთის საკუთრებაზე და ამას ასაბუთებენ იმით, რომ ისინი მუშაობდნენ და გამოიმუშავებდნენ ფულს, რომელიც გადახდილი იქნა ამ ქონების შეძენისას. სწორედ ასეთი შემთხვევებისათვის კანონი ადგენს, რომ არ აქვს მნიშვნელობა მეუღლე მუშაობდა თუ არა, ნებისმიერი ქონება, შეძენილი ქორწინების განმავლობაში არის საერთო საკუთრება, თანასაკუთრება.

აღნიშნული თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ქორწინება. სწორედ რომ ქორწინების შემდგომ ხდება უფლებამოსილებების და მოვალეობების სხვაგვარად, ახალ სამართლებრივ რეჟიმში ათვისება.

სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის თანახმად ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (შემდგომ – სააგენტოს ტერიტორიული სამსახური).

ოჯახი საზოგადოების უჯრედიანია. მისი სიმტკიცეზე ბევრად არის დამოკიდებული არა მარტო ოჯახის წევრთა კეთილდღეობა, არამედ მთელი საზოგადოების წინსვლა და წარმატებაც. ამიტომ ყველა საზოგადოება ცდილობს ოჯახის განმტკიცებას. ოჯახური ურთიერთობის ფორმები ისტორიულად ხშირად იცვლებოდა. მისი შეცვლა არც მომავალშია გამორიცხებული. მიუხედავად ამისა, ოჯახი ყოველთვის იყო და იქნება ქალისა და მამაკაცის ურთიერთსიყვარულზე დამყარებული კავშირი.²⁹

ქორწინების რეგისტრაცია კანონის თანახმად, წარმოადგენს ერთადერთ მტკიცებულებას მასზე, რომ ოჯახი შექმნილია. ქორწინებისათვის საჭიროა მხოლოდ

²⁹ შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 23

ორი პირობის არსებობა: 1. ქალის და მამაკაცის თანხმობა და 2. საქორწილო ასაკი, რაც კანონმდებლობით დადგენილია სრულწლოვანების ანუ 18 წლის ასაკის მიღწევით.

ქორწინება არ არის უბრალოდ კონტრაქტი ორ ადამიანს შორის. ეს არის კონტრაქტი ორ ადამიანსა და საზოგადოებას შორის. დაქორწინებისას ადამიანები ამ იურიდიული ფაქტის დადგომით იძენენ მეუღლის სტატუსს. ამ სტატუსის შეძენა, ერთგვარ კატალიზატორად გვევლინება ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში. როცა წყვილი ქორწინდება ისინი უთანხმდებიან არა მხოლოდ ერთმანეთს, არამედ მთელ საზოგადოებას. ეს შეთანხმება ამბობს, რომ ეს ორი ადამიანი ერთად იცხოვრებს, იზრუნებს ერთმანეთზე, ერთად გაზრდიან შვილებს. ამის სანაცვლოდ საზოგადოება აღიარებს მათ, როგორც ოჯახს, აძლევს სპეციალურ ავტონომიას და სპეციალურ სტატუსს.³⁰

დაქორწინებულ პირებს ერთმანეთის მიმართ წარმოექმნებათ არა მხოლოდ ჩვეულებრივი, ანუ ტრადიციული, არამედ თავად ცოლ-ქმრობასთან დაკავშირებული უფლებანი და მოვალეობანი. აღნიშნული უფლებები შესაძლებელია იყოს ქონებრივი და არაქონებრივი ხასიათის. დაქორწინება წარმოადგენს ისეთ სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებას, რომელიც ორივე მეუღლისათვის წარმოშობს პირადი და ქონებრივი ხასიათის როგორც უფლებებს, ისე მოვალეობებს.

უპირველეს ყოვლისა, ქორწინება წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის ურთიერთშეთანხმებას ოჯახის შექმნის შესახებ. აღნიშნულ დებულებაში საუბარია ქალისა და მამაკაცის ურთიერთშეთანხმებაზე ქორწინების თაობაზე და დღესდღეობით საქართველოში აკრძალულია ქორწინება ერთი სქესის წარმომადგენელ პირებს შორის.

ოჯახის წევრები არა მხოლოდ ყოფითი პრობლემებითა და საკითხებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, არამედ ეს ურთიერთობები თითოეული მათგანისათვის წარმოშობს გარკვეულ იურიდიულ შედეგებს, რაც თავისთავად მოითხოვს მათ სამართლებრივ მოწესრიგებას.³¹

ქორწინების ძირითადი მახასიათებელი ნიშანია ნების გამოვლენის თავისუფლების პრინციპის დაცვა, რადგან ქორწინება წარმოადგენს ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით კავშირს, რაც ნიშნავს იმას, რომ შეთანხმება, ქორწინების და მისი შეწყვეტის თაობაზე მექორწინეთა სურვილზეა დამოკიდებული. ის ქორწინება, რომელიც ჩატარდა პირზე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედების საფუძველზე, აუცილებლად უნდა იქნას ცნობილი ბათილად.

³⁰ კუსიანი ე., საქორწილო კონტრაქტი - მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ თეორიული ფორმულაცია?, თბილისი, 2012, გვ. 4 <http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf>

³¹ იქვე. გვ. 4

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქორწინება მხოლოდ მაშინ წარმოშობს მეუღლეთა შორის უფლება-მოვალეობებს, როცა ხდება ამ ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაცია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. რეგისტრაცია წარმოადგენს ერთადერთ დამადასტურებელ საბუთს მეუღლეებისათვის და მას კონსტიტუციური ანუ უფლებაწარმოქმნილი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში ნებადართულია საეკლესიო ქორწინება, თუმცა მას სამოქალაქო ქორწინების მსგავსი სამართლებრივი შედეგები არ მოჰყვება, ამიტომ საქართველოს ტერიტორიაზე, სხვა რომელიმე ორგანოში, თუნდაც ეკლესიაში რეგისტრირებულ ქორწინებას იურიდიული ძალა არ გააჩნია.³²

მოსახლეობაში ხშირად დგება საკითხი ქორწინების საეკლესიო რეგისტრაციის, როგორც არსებული ქორწინების ალტერნატიული წესის შემოღების თაობაზე, მაგრამ დღეს არსებული საოჯახო კანონმდებლობა ცნობს მხოლოდ სამოქალაქო ანუ კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ ქორწინებას. ქორწინების რეგისტრაციის თაობაზე მექორწინეები განცხადებით მიმართავენ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს. კანონის თანახმად, დაქორწინების მსურველთა განცხადებას ძალა აქვს შეტანიდან 2 თვის განმავლობაში, აგრეთვე დაქორწინების მსურველებს უფლება აქვთ დათქვან კონკრეტული დღე, როდესაც მათ სურთ ქორწინების რეგისტრაცია. თუ დაქორწინების მსურველთა გადაწყვეტილება საკმაოდ მყარია მათ შეუძლიათ მარეგისტრირებულ ორგანოში განცხადების შეტანიდან მეორე დღესვე ითხოვონ ქორწინების რეგისტრაცია.³³

განცხადების შეტანის დღეს რეგისტრაციაზე მექორწინეებს შეიძლება იმ მოტივით ეთქვას უარი, რომ სარეგისტრაციო ორგანოში შეტანილია სხვა უამრავი განცხადება. ასეთ შემთხვევაში, მექორწინეებს შეუძლიათ დაელოდნონ თავისუფალ თარიღს ან მიმართონ სხვა ტერიტორიულ სარეგისტრაციო ორგანოს.³⁴

განცხადება ქორწინების რეგისტრაციის თაობაზე წყვილს შეუძლია შეიტანოს ნებისმიერი ქალაქის ან რაიონის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივ სამსახურში. დაქორწინების მსურველ წყვილს შეაქვს განცხადება თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ქორწინების რეგისტრაცია ხდება მექორწინეთა უშუალო მონაწილეობით. განცხადება ქორწინების შესახებ წყვილმა პირადად უნდა შეიტანოს. დასაშვებია ერთ-ერთი მექორწინის მიერ განცხადების შეტანა, თუ მას ხელთ აქვს მეორე მექორწინის ნების გამომხატველი დოკუმენტი.

³² შენგელია რ./ შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2009, გვ 70

³³ ბახტაძე მ., მეუღლეთა უფლება-მოვალეობანი, თბილისი, 2018, გვ 22

³⁴ იქვე, გვ 95

II. მეულლეთა თანასაკუთრების სახეები

მეულლეთა თანასაკუთრების სამართლებრივ რეჟიმში განხილვა წარმოადგენს ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს. თანასაკუთრების საკითხის განხილვისას კვლევის პროცესში ხშირად ვაწყდებოდი პარალელებს მასზედ, რომ თანასაკუთრების განხილვა მხოლოდ მისი გაყოფის დროს ხდებოდა. თუმცა სამოქალაქო კოდექსის 1159-ე მუხლის თანახმად, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე ორივე მეულლეს აქვს თანაბარი უფლებები. აღნიშნული ქონების ფლობას, სარგებლობას და განკარგვას ორივე მეულლე ახორციელებს ურთიერთშეთანხმებით. აგრეთვე ძალზედ საინტერესოა ამ კოდექსის 1160-ე მუხლი, სადაც საუბარია თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე ურთიერთშეთანხმებით.

მეულლეებს გააჩნიათ თანაზიარი საკუთრების ფლობის, სარგებლობის და განკარგვის თანაბარი უფლებები. ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს რომელიმე მეულლის, როგორც მესაკუთრის უფლებამოსილებათა რაიმე ფორმით შეზღუდვას, ბათილად უნდა ჩაითვალოს, რადგან ეწინააღმდეგება კანონის იმპერატიულ დებულებას მეულლეთა უფლებების თანაბრობის შესახებ.³⁵ ნებისმიერი მეულლის მოქმედება, მიმართული ქონების მართვის მიზნით, ამავდროულად გულისხმობს მეორე მეულლის თანხმობას ამ ქმედების განხორციელებისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში კანონი მოითხოვს მეორე მეულლის წერილობით თანხმობას, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით, ეს ძირითადად ეხება ისეთი ქმედებების განხორციელებას, რომელიც საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებას.

რაც შეეხება წილობრივ საკუთრებას, ამ შემთხვევაში რეგულირების რეჟიმი ცოტა განსხვავებულია. საქმე იმაშია, რომ წილობრივი საკუთრება შეიძლება გააჩნდეთ მეულლეებს, რომლებიც არ იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში. საერთო წილობრივი საკუთრების სუბიექტისგან განსხვავებით, მეულლეს უფლება აქვს მოითხოვოს წილის გაყოფა საერთო ქონებიდან და მისი დამოუკიდებლად განკარგვა, რადგან ეს იქნება არა მისი წილის გაყოფა, არამედ თანაზიარი ქონების გაყოფა.³⁶

2.1 თანხმობა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვაზე

ხშირად გვხვდება პრაქტიკაში ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი მეულლე ასხვისებს თანასაკუთრებაში არსებულ ქონებას ისე, რომ მეორე მეულლემ ამის შესახებ არაფერი იცოდა და ამის საფუძველზე მეორე მეულლე ითხოვს გარიგების ბათილობას. მსგავსი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით კანონმდებელმა დაადგინა შემდეგი ნორმა: იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეულლეთა თანასაკუთრებაშია, ხდება

³⁵ შენგელია რ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, 2000, გვ. 109

³⁶ იქვე. გვ. 110

მეუღლეთა შეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ: ა) მან არ იცოდა გარიგების შესახებ; ბ) ის არ ეთანხმებოდა გარიგებას. მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, უფლება აქვს, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი.

აღნიშნული მუხლი ზედმიწევნით ზუსტად და კონკრეტულად განმარტავს ყველაზე მწვავე საკითხს, რომელიც პრაქტიკაში ძალზედ ხშირად გვხვდება. თუმცა მე ვფიქრობ, რომ მოცემული ნორმა არღვევს მეორე (დაზარალებული) მეუღლის უფლებებს. ვფიქრობ, რომ მოცემული ნორმა ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს და არღვევს კონსტიტუციით მონიჭებულ უფლებებს. მე გაგებით ვეკიდები კეთილსინდისიერი შემძენის უფლებებს, თუმცა ვფიქრობ, რომ გარიგება უნდა იყოს ბათილი მაშინ, როდესაც მეორე მეუღლის თანხმობა არ იყო მიღებული. მართალია დაზარალებულ მეუღლეს აქვს უფლება მოითხოვოს კომპენსაცია, თუმცა არანაირი კომპენსაცია ხშირად არ აანაზღაურებს იმ ემოციურ და ფსიქოლოგიურ ტრავმას, რომელსაც განიცდის დაზარალებული მეუღლე ამა თუ იმ ნივთის დაკარგვით, რომელიც მან იცოდა, რომ იყო მის თანასაკუთრებაში. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ კანონმდებელი დაადგენს თანასაკუთრებაში არსებული თუნდაც უძრავი და მოძრავი ქონების, რომელიც საჭიროებს რეგისტრაციას, რეგისტრაციისთვის ორივე მეუღლის თანხმობის აუცილებლობას მაშინაც კი, თუ ქონება მხოლოდ ერთ მეუღლეზეა გაფორმებული (რეგისტრირებული). ამგვარად ნაწილობრივ მაინც მოხდება ორივე მეუღლის უფლებების დაცვა.

აღნიშნულ ინტერესთა კონფლიქტი ამ შემთხვევაში ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ერთი მხრივ, დაზარალებული მეუღლის ინტერესი და, მეორე მხრივ, კეთილსინდისიერი შემძენისა და გამსხვისებელი მეუღლის, როგორც საჯარო რეესტში რეგისტრირებული მესაკუთრის ინტერესი, ეს ინტერესი შეიძლება შეეხოს მისი საკუთრების უფლების ხელყოფის საფრთხეს, მოცემულ შემთხვევაში მას უნდა შეეძლოს განახორციელოს სრული ბატონობა ნივთზე, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს იგი.³⁷

პრობლემას ისიც ამწვავებს, რომ სანივთო სამართალი მესაკუთრეს (თუ იგი ასეთადაა რეგისტრირებული) მოცემულ საგანზე ანიჭებს ყველა უფლებას, მათ შორის შეუზღუდავად განკარგვის შესაძლებლობას. აქედან გამონაკლისს თანასაკუთრება წარმოადგენს, როცა საგნის განკარგვამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სხვის ქონებრივ

³⁷ ზარანდია თ., საკუთრების უფლების სავინდიკაციო დაცვა ქართულ სამართალში, 2015 წლის 5-6 ნოემბრის სამეცნიერო კონფერენციის მასალებში: „საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა. სტაბილურობის ტრანსფორმაცია“, თბილისი, 2016, გვ. 246

მდგომარეობაზე.³⁸ ქართულ სამართალში ეს წესი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა „თანამესაკუთრე“ რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში.³⁹

ამასთან, ვინაიდან დავა შეეხება ქონებას, კერძოდ უძრავს, ურთიერთობის მომწესიგებელი სპეციალური ნორმები სანივთო სამართალში უნდა ვეძებოთ.⁴⁰ სადაც, მოქმედებს კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტი, აქედან გამომდინარე ერთ–ერთი მეუღლის მიერ საზიარო ქონების თანამესაკუთრედ დაურეგისტრირებლობის შემთხვევაში, მისი ნებართვის გარეშე მეორე მეუღლის მიერ დადებული გარიგების „იურიდიული ბედის“ განმსაზღვრელი შემძენის კეთილსინდისიერებაა, რაც ცოდნის ელემენტით დგინდება. არაკეთილსინდისიერია შემძენი, თუ მისთვის ცნობილია ან ცნობილი უნდა იყოს,⁴¹ რომ გამსხვისებელი არ არის ნივთის ერთადერთი მესაკუთრე. სხვა შემთხვევაში კი გარიგების ბათილად ცნობისათვის გარიგების მომენტში მინიმუმ საჯარო რეესტრის ჩანაწერი უნდა იყოს სადავო.⁴²

აღნიშნულ შემთხვევაში, მეორე მეუღლე მძიმე მდგომარეობაში ვარდება. მართალია, მას სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს ქონების გასხვისებით მიღებული სარგებელი, რის საშუალებასაც სსკ-ის 1160-ე მუხლის ძველი რედაქცია არ იძლეოდა.⁴³ თუმცა, ასეთ დროს შესაძლოა დადგეს აღსრულების პრობლემა, კერძოდ, მეუღლე ვინც უნებართვით გაასხვისა თანასაკუთრება და ვის მიმართაც აქვს დაზარალებულს რეგრესის წესით სარგებლის მოთხოვნის უფლება აღმოჩნდეს გადახდისუუნარო, ვინაიდან მის სახელზე არ იქნება რეგისტრირებული ქონება. ამ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება ვერ მოხდეს და ამგვარად დაზარალებული მეუღლე ყოველგვარი დაცვის გარეშე დარჩეს.⁴⁴

საუკეთესო გამოსავალი კი ამ შემთხვევიდან იქნება წინდახედულობის გამოჩენა და მიუხედავად მეუღლისადმი არსებული ნდობისა, გართულებების ასაცილებლად

³⁸ Hansmann H./ Kraakmann R., Property, Contract and Verification: The Numerus Clausus Problem and the Divisibility of Rights, THE JOURNAL OF LEGAL STUDIES, Chicago, 2002, p. 374

³⁹ ქანთარია გ./ჯგერენაია ვ., სტატია: მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, #8, თბილისი, 2018, გვ. 88

⁴⁰ კალანდაძე თ., მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(29), თბილისი, 2011, გვ.104

⁴¹ თოთლაძე ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 2017
<http://civilcode.ge/index.php?title=%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%83%99%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%98%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98>

⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 დეკემბრის განჩინება, საქმე №ას-1004-948-2015.

⁴³ შენგელია რ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, თბილისი, 2000 წელი, გვ. 110

⁴⁴ ქანთარია გ., ჯგერენაია ვ., სტატია: მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, #8, თბილისი, 2018, გვ. 88

საჯარო რეესტრში თანამესაკუთრედ რეგისტრაცია. მართალია, საოჯახო სამართალი მეუღლეს არ ავალდებულებს თანამესაკუთრედ რეგისტრაციას, მაგრამ მას ანიჭებს სამართლებრივ საშუალებას კანონმდებლობით დადგენილი წესით დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში, როგორც თანამესაკუთრე და ამ გზით დაიცვას თავისი უფლება ხელყოფისგან.⁴⁵ ამასთან, მეუღლეთა თანასაკუთრების მოწილედ რეგისტრაციას საოჯახო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპის დაცვა უდევს საფუძვლად, რაც პირველ რიგში ისევ მეუღლეთა ინტერესია.⁴⁶ შესაბამისად, მესაკუთრედ დაურეგისტრირებლობას გარკვეული იურიდიული შედეგი უკავშირდება, რაც რისკის გაწევაში გამოიხატება. კერძოდ, ასეთ დროს მეუღლე, რომელიც თანამესაკუთრედ რეგისტრაციის უფლებას არ გამოიყენებს, თვითონ ხდება ნივთის მისი ნებართვის გარეშე განკარგვის რისკის მატარებელი, რადგან სწორედ მისი უმოქმედობა იძლევა ასეთი შედეგის დადგომის შესაძლებლობას.⁴⁷

შესაბამისად, ისეთ შემთხვევებში, როცა ხდება თანასაკუთრების რეგისტრირებული მეუღლის მიერ თვითნებურად გასხვისება, სასამართლო იცავს კეთილსინდისიერ შემძენს.⁴⁸

აქვე აღსანიშნავია საჯარო რეესტრის და კეთილსინდისიერი შემძენის როლი თანასაკუთრების რეგისტრაციისა და გასხვისების დროს.

2.2 საჯარო რეესტრის როლი მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებთან მიმართებაში

საჯარო რეესტრის როლი მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების მოწესრიგების სფეროში ძალიან დიდია, თუმცა ხშირ შემთხვევაში, პრაქტიკაში გარკვეულ პრობლემებსაც ქმნის, როდესაც საჯარო რეესტრში მესაკუთრედ მხოლოდ ერთი მეუღლეა რეგისტრირებული თანაზიარი ქონების მესაკუთრედ, მეორე მეუღლე კი შეიძლება საკუთრების უფლების გარეშე დარჩეს. პრობლემას ისიც ართულებს, რომ მოქმედებს საჯარო რეესტრის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია, რაც კიდევ უფრო მეტად ამძიმებს რეესტრში დაურეგისტრირებელი მეუღლის უფლებრივ

⁴⁵ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2004, გვ. 147

⁴⁶ კალანდაძე თ., მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(29), 2011, გვ. 104

⁴⁷ ქანთარია გ., ჯგერენაია ვ., სტატია: მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, #8, თბილისი, 2018, გვ. 89

⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინება, საქმე №3კ/932-02

მდგომარეობას. პრობლემის გადასაჭრელად უნდა განისაზღვროს საჯარო რეესტრის ფუნქცია მეუღლეთა ქონებრივ ურთიერთობებში.⁴⁹

აღიარებული მოსაზრების თანახმად, საკუთრების უფლების (მათ შორის მეუღლეთა თანასაკუთრების) წარმოშობა ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას უკავშირდება.⁵⁰ მამასადამე, სწორედ საჯარო რეესტრში რეგისტრაციაა ის იურიდიული მოქმედება, რომელიც წარმოშობს საკუთრების უფლებას. ამასთანავე, რეგისტრაციის ფაქტი ადასტურებს უფლების წარმოშობასა და ნამდვილობას.⁵¹ ეს პოზიცია ნაწილობრივ გასაზიარებელია, ვინაიდან საკუთრებას თავისი აბსოლუტური ხასიათიდან გამომდინარე აქვს სოციალური ბუნებაც, რაც საჭიროებს გასაჯაროებას სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ საკუთრების უფლება სრული სახით წარმოიშობა სწორედ რეგისტრაციის შემდგომ, ხოლო იქამდე კი კანონის ან გარიგების საფუძველზე არსებობს მხოლოდ რეგისტრაციის, ანუ საკუთრების უფლების სრულად წარმოშობის მოთხოვნის უფლება.⁵²

კანონის იმპერატიული დანაწესის არსებობა, საკუთრების უფლების მოსაპოვებლად ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის აუცილებლობის შესახებ განპირობებულია საკუთრების სოციალური ბუნებით, რომელსაც წინათ სიფთხილით ეკიდებოდნენ თუმცა თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში მოსაზრება იმის შესახებ, რომ საკუთრებას აქვს თანდაყოლილი სოციალური ხასიათი არ არის საკამათო.⁵³

ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ საჯარო რეესტრი უადვილებს პირს სრული ინფორმაცია მიიღოს თავისი პარტნიორის უფლებათა ნამდვილი მდგომარეობის შესახებ.⁵⁴ აღნიშნული კი საჯარო რეესტრს აძლევს ერთგვარი სამოქალაქო ბრუნვის მომწესრიგებლის როლს, რითაც ხდება საჯაროობის პრინციპის პრაქტიკული გამოვლინების უზრუნველყოფა.

ამასთან, საჯაროობის პრინციპი იცავს სამართლებრივი ბრუნვის მონაწილეებს⁵⁵ და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ სამოქალაქო ბრუნვის დაცვა ნიშნავს მის მონაწილე პირთა ინტერესების დაცვას და არ შეიძლება ერთი პირის ინტერესების დაცვა, მეორე პირის ინტერესების ხარჯზე. შესაბამისად, მხოლოდ საჯარო რეესტრის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფციამ შესაძლოა პრაქტიკაში

⁴⁹ ქანთარია გ., ჯგერენაია ვ., სტატია: მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, #8, თბილისი, 2018, გვ. 84

⁵⁰ შოთაძე თ., სანივთო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 158

⁵¹ იქვე, გვ. 442

⁵² ქანთარია გ., ჯგერენაია ვ., სტატია: მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, #8, თბილისი, 2018, გვ. 84

⁵³ Lubens R., The social obligation of property ownership: a comparison of German and U.S. law, Arizona Journal of International & Comparative Law Vol. 24, No. 2, 2007, 390.

⁵⁴ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, თბილისი, 2003, გვ. 365

⁵⁵ ლაფაჩი ე., უძრავ ნივთზე ქონებრივი უფლების რეგისტრაციის პრინციპები ქართული და გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, №1, თბილისი, 2013, გვ. 62

სრულად ვერ დაიცვას სუბიექტთა ინტერესები, ამ შემთხვევაში კი პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია მხარეთა მიერ წინდახედულობის გამოჩენა, მიუხედავად იმ დიდი ნდობისა რაც საოჯახო ურთიერთობებში არსებობს, წინდახედულობა მოითხოვს, რომ თანასაკუთრება რეგისტრირებული იყოს ორივე თანამესაკუთრეზე (ამ შემთხვევაში მეუღლეებზე), რათა გარანტირებული იყოს ორივე თანამესაკუთრის დაცვის შესაძლებლობა, ცხადია აღნიშნული მხარეთა ნებაზე დამოკიდებული, პრაქტიკული საკითხია და პრაქტიკამ უნდა დაარეგულიროს.⁵⁶

სამოქალაქო სამართალში საჯარო რეესტრი კეთილსინდისიერი შემძენი დაცვის გარანტიად გვევლინება, რაც საჯარო რეესტრის სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფციის არსებობითაა განპირობებული. აღნიშნული პრეზუმფცია კი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპისა.⁵⁷ კეთილსინდისიერ შემძენს არ ევალება გამოიძიოს რეესტრის მონაცემთა მართებულობა. საკუთრივ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტის არსებობა იცავს შემდგომში ბრუნვის იმ მონაწილეს, რომელიც კეთილსინდისიერად ენდობა საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობას.⁵⁸ ამასთან, აღსანიშნავია რომ ნდობა საჯარო რეესტრის მონაცემების მიმართ არაა დამოკიდებული პირის სუბიექტურ ვარაუდზე, შესაბამისად, სამართლიანად აღინიშნა ლიტერატურაში, რომ მხოლოდ შემძენის არამართლობიერების ცოდნა და არა ვარაუდი შეერაცხება შემძენს არაკეთილსინდისიერებაში.⁵⁹

განსახილველი საკითხის მსგავსად მოქმედებს საოჯახო სამართალშიც, მაშინაც კი როდესაც დავა ეხება მეუღლეთა თანასაკუთრებას.

საოჯახო სამართალშიც მიუხედავად მეუღლის კანონიერი ინტერესისა საჯარო რეესტრის დანიშნულებიდან და ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე უპირატესობა ენიჭება კეთილსინდისიერ შემძენს. ამ კუთხით ვითარდება უახლესი სასამართლო პრაქტიკაც, რომელიც, მართალია, აღიარებს კეთილსინდისიერი მეუღლის, როგორც თანამესაკუთრის ინტერესების დაცვის საჭიროებას, მაგრამ უპირატესობას ანიჭებს კეთილსინდისიერ შემძენს.⁶⁰

⁵⁶ ქანთარია გ., ჯგერენაია ვ., სტატია: მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, #8, თბილისი, 2018, გვ. 85-86

⁵⁷ ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, თბილისი, 2003, გვ. 336

⁵⁸ ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 196

⁵⁹ ზოიძე ბ., საკუთრების უფლების ევოლუცია ქართულ სამართალში, 2015 წლის 5-6 ნოემბრის სამეცნიერო კონფერენციის მასალებში: „საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა. სტაბილურობის ტრანსფორმაცია“, თბილისი, 2016, გვ. 246

⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე №ას-189-182-2013

ამასთან, კეთილსინდისიერი შემძენი პროცესზე ერთგვარი „უპირატესობითაც“, სარგებლობს, რაც დავის შემთხვევაში მისთვის მტკიცების ტვირთის „ჩამოშორებაში“, გამოიხატება. ამ შემთხვევაში მოსარჩელემ (ამ შემთხვევაში დაზარალებულმა მეუღლემ), უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზეც ამყარებს თავის მოთხოვნას და შესაგებელს, ამასთან, მოსარჩელე ვალდებულია თავისი მოთხოვნა მის ხელთ არსებული მტკიცებულებებით გაამყაროს.⁶¹ აღნიშნულს, ამყარებს სასამართლო პრაქტიკაც, უზენაესი სასამართლო პირდაპირ მიუთითებს, რომ ამ შემთხვევაში შემძენის არაკეთილსინდისიერების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს,⁶² რაც კეთილსინდისიერი შემძენისათვის „დიდი შეღავათია“ და საჯარო რეესტრის უტყურობისა და სისრულის პრეზუმფციისგან გამომდინარეობს.⁶³

III. ინდივიდუალური და თანაზიარი საკუთრების გამიჯვნა

მეუღლეთა საკუთრების რეჟიმის გარკვევისას, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ მეუღლეთა საკუთრებაში არსებული ქონება შეიძლება სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმისა იყოს. მათი მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა სხვადასხვა საფუძველზე ხდება. საოჯახო კანონმდებლობით მეუღლეთა საკუთრება იყოფა ორ ნაწილად – ინდივიდუალურ, ანუ განცალკევებულ და საერთო თანაზიარ საკუთრებად, ანუ თანასაკუთრებად.⁶⁴

განვიხილოთ როგორი სახის ქონებას წარმოადგენს ერთ–ერთი მეუღლის ინდივიდუალური საკუთრება. ეს არის ქონება, რომელიც თითოეულ მათგანს ქორწინებამდე, აგრეთვე ქონება, მიღებული ქორწინების პერიოდში საჩუქრის ან მემკვიდრეობის სახით, აგრეთვე მეუღლეთა ერთიანი ბიუჯეტიდან შეძენილი ქონება, თუ იგი ემსახურება ერთ–ერთი მეუღლის ინდივიდუალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ასე მაგალითად, მუსიკალური ინსტრუმენტი მუსიკის მასწავლებლისათვის, ან საკერავი მანქანა მკერავი მეუღლისათვის და ა.შ. სამოქალაქო კოდექსი აგრეთვე იცნობს ინდივიდუალური საკუთრების საერთო საკუთრებად გადასვლის შესაძლებლობასაც, ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდუალური საკუთრების ღირებულება საგრძნობლად გაიზარდა ქორწინების პერიოდში, მაგალითად განხორციელებული იქნა მშენებლობა მიწის ნაკვეთზე, ან გარემონტებული იქნა ძველი უძრავი ქონება ან ავტომობილი და ა.შ. მოცემულ საკითხს არეგულირებს კოდექსის 1163–

⁶¹ კვინიკაძე ქ./ჩხაიძე გ., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო პროცესში და მისი სუბიექტები-მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები, ჟურნალი, „მართმსაჯულება და კანონი“, №1(44), თბილისი, 2015, გვ. 115-116

⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 იანვრის განჩინება, საქმე №ას-1131-1064-2015

⁶³ ქანთარია გ., ჯგერენაია ვ., სტატია: მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, #8, თბილისი, 2018, გვ. 87

⁶⁴ შენგელია რ./შენგელია ე. საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011, გვ. 154

ე მუხლი. თუმცა მოცემული ნორმა არ შეიძლება გამოყენებული იქნას იმ შემთხვევაში, თუ საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არის დადგენილი.

კანონმდებელმა სსკ – 1165-ე მუხლში წინასწარ განსაზღვრა თანაზიარ საკუთრებაში არსებული ზოგიერთი სახის ქონების სამართლებრივი მდგომარეობა. ამგვარ ქონებას კანონმდებელი „პროფესიულ საქმიანობისათვის საჭირო ნივთებს“ უწოდებს და ამბობს, რომ თუნდაც ისინი ქონწინების განმავლობაში იყოს შეძენილი მეუღლეთა საერთო სახსრებით, გადაეცემა იმ მეუღლეს რომელსაც ეს ნივთები თავის საქმიანობისათვის სჭირდება. მაგალითად ექიმისათვის ეს იქნება სხვადასხვა სამედიცინო მოწყობილობები, მხატვრისთვის სახატავად აუცილებელი მოწყობილობები, იურისტისათვის იურიდიული შინაარსის შემცველი ბიბლიოთეკა და ა.შ. (შეუძლებელია ამ სიის სრული სახით ფორმირება, ვინაიდან პროფესიათა და მათში გამოსაყენებელ ნივთთა რიცხვი მეტად დიდია).⁶⁵

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ შესაძლებელია სამკვიდროს დამტოვებელმა ქონება მემკვიდრეობით დაუტოვოს ორივე მეუღლეს ან ქონების გამჩუქებელმა მეუღლეები დაასაჩუქროს. ასეთ შემთხვევაში მიღებული ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებად უნდა ჩაითვალოს. იგულისხმება, რომ მეუღლეები საკუთრებას იძენენ ერთი და იმავე სახის ქონება. მაგალითად საცხოვრებელი სახლი ორივე მეუღლემ მიიღო მემკვიდრეობით და არა, ვთქვათ, ერთი და იგივე პიროვნებამ ერთ მეუღლეს საცხოვრებელი სახლი უანდერძა, მეორეს კი ავტომანქანა. ე.ი. მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონება თავისი სამართლებრივი ბუნებით ინდივიდუალური ხასიათის უნდა იყოს. უფრო მეტიც, შეიძლება ქონება, მართალია, ქორწინების პერიოდში იყო შეძენილი და საერთო დანიშნულებაც გააჩნდეს მას, მაგალითად ავტომანქანა, მაგრამ თუ შეძენილია მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული სახსრების საფუძველზე, იგი მაინც ინდივიდუალური საკუთრების ქონებად უნდა ჩაითვალოს.⁶⁶

ქორწინების ფაქტი არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მეუღლეთა თანასაკუთრებაში იმ ქონების ჩართვას, რომელიც თითოეულ მათგანს ეკუთვნოდათ დაქორწინებამდე. ასეთი ქონება არის მათი ინდივიდუალური საკუთრება და მისი მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა თითოეული მეუღლის მიერ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ხორციელდება. ქორწინების შემდეგ შეძენილი ყველა სახის ქონება არ წარმოადგენს თანაზიარ ქონებას. თანაზიარად ითვლება მხოლოდ ის ქონება, რომელიც შეძენილია საერთო სახსრებით და განკუთვნილია საერთო სარგებლობისათვის.⁶⁷

⁶⁵ თუმანიშვილი გ., საქორწინო კონტრაქტი, თბილისი, 2010, გვ. 66

⁶⁶ შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 114

⁶⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი. სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეებზე, N2, თბილისი, 2003, გვ. 393

მეუღლეთა საერთო სახსრებით შეძენილი ყველა ქონება არ ითვლება მათ თანასაკუთრებად. თუ ქონება, მართალია შეძენილია მეუღლეთა საერთო სახსრების საფუძველზე, მაგრამ განკუთვნილია ერთი მათგანის ინდივიდუალური სარგებლობისათვის, აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ინდივიდუალურ საკუთრებად. ასეთია, მაგალითად, ტანსაცმელი, საყურე, ყელსაბამი, კოსმეტიკური ნივთები და სხვა. კანონი ასეთი ქონების კატეგორიიდან გამორიცხავს მეუღლეთა მიერ შეძენილ ძვირფასეულობას, თუმცა არ აზუსტებს რომელი ნივთები მიეკუთვნება მას. პრაქტიკაში დამკვიდრებული გაგებით, ძვირფასეულობას მიეკუთვნება ისეთი ნივთები, რომლებიც არაა აუცილებელი ყოფითი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მათ მიეკუთვნება ძვირფასი ლითონებისა და იშვიათი ქვებისაგან დამზადებული საგნები, ანტიკვარიული ნივთები, ორიგინალი და ფასეული მხატვრული ნაწარმი და სხვა. ასეთი ქონება, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება განკუთვნილი იყოს რომელიმე მეუღლის ინდივიდუალური სარგებლობისათვის, მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებას წარმოადგენს. დავა იმის შესახებ, მიეკუთვნება თუ არა ესა თუ ის ნივთი უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.⁶⁸

3.1 ქორწინების პერიოდში და ქორწინებამდე ჩუქების საფუძველზე შეძენილი ქონების სამართლებრივი რეჟიმი

ქორწინების პერიოდში და ქორწინებამდე ჩუქების საფუძველზე შეძენილი ქონების სამართლებრივი რეჟიმი წარმოადგენს ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს, რომელიც არ შეიძლება დარჩეს ყურადღების მიღმა, რადგან სპეციალური ქონებრივი რეჟიმის შეუთანხმებლობა მეუღლეებს შორის იწვევს მთელ რიგ პრობლემებს, რასაც მოცემულ თავში დეტალურად განვიხილავ.

პირველ რიგში, მინდა ყურადღება გავამახვილო ჩუქების დეფინიციაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლის მიხედვით, „ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით“. ჩუქების ხელშეკრულების ძირითად თავისებურებას მისი უსასყიდლო ხასიათი წარმოადგენს. იურიდიული თვალსაზრისით იმაში ვლინდება, რომ საჩუქარი არ არის განსაზღვრული ეკვივალენტობის მატარებელი“.⁶⁹ აქედან გამომდინარე, ჩუქების მთავარი დამახასიათებელი ნიშანი წარმოადგენს მისი უსასყიდლო ბუნებას, აღნიშნულთან დაკავშირებით გერმანულ სამართალში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რის გამოც მინდა განვიხილო კონკრეტული მაგალითი: „სიმამრმა (ს) აჩუქა დამწყებ ადვოკატ ზურაბ ვეშაპიძეს (ზ.ვ.) მის ქალიშვილთან შეუღლებამდე 10 000 დოლარი. შემდეგში წყვილი დაქორწინდა ისე, რომ სპეციალური ქონებრივი რეჟიმი

⁶⁸ შენგელია რ./შენგელია ე. საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011, გვ. 154

⁶⁹ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, თბილისი, 2001, გვ. 65

არ შეუთანხმებიათ. ქორწინება წარუმატებელი აღმოჩნდა და წყვილი ქორწინებიდან რვა თვეში განქორწინდა. სიმამრმა თავისი ნაჩუქარი 10 000 დოლარი უკან მოითხოვა.⁷⁰

პროფესორ გიორგი რუსიაშვილის ნაშრომში ვხვდებით გერმანული სამართლის მიდგომას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ქორწინებამდე და ქორწინების პერიოდშიც გაკეთებულ ნაჩუქრობას გააჩნია მოტივი, კერძოდ მეუღლეთა თანაცხოვრების კეთილდღეობა. გერმანული სამართალი უშვებს ნაჩუქარი ქონების უკან გამოთხოვის შესაძლებლობას. კონკრეტულ მაგალითში, ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის საფუძვლად განიხილება წარუმატებელი ქორწინება, რაც მჩუქებელს ანიჭებას უფლებას დაიბრუნოს ნაჩუქარი ნივთი, რაც გულისხმობს იმას, რომ დასაჩუქრებული მოკლებულია შესაძლებლობას განკარგოს ნივთი საკუთარი შეხედულებისამებრ.

რაც შეეხება ქართულ სამართალს, იგი იზიარებს ზემოთ აღნიშნულ მიდგომას და მიიჩნევს, რომ სიმამრს აქვს ნაჩუქარის უკან მოთხოვნის უფლება ხელშეკრულების საფუძვლის მოშლის გამო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით: „ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩინებს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ მიმაჩნია მართებულად ქორწინებამდე ნაჩუქარი ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც დასაჩუქრებული იჩენს დიდ უმადურობას მჩუქებლის მიმართ ან მძიმე შეურაცხყოფას აყენებს მას. მოცემულ შემთხვევაში კი, დასაჩუქრებულისათვის ჩუქების მოტივი, კერძოდ ის, რომ აღნიშნული თანხა გადაცემული იყო ოჯახის შენარჩუნებისა და კეთილდღეობისათვის მისთვის უცნობი იყო, რადგან მჩუქებელმა არ განაცხადა ამის შესახებ. მჩუქებელს უნდა გაეთვალისწინებინა მთელი რისკ-ფაქტორები, როგორცაა განქორწინების ალბათობა. შესაბამისად, დასაჩუქრებულს არ შეიძლება სცოდნოდა, რომ ჩუქება ურთიერთკავშირში იყო ქორწინებასთან, რადგან ჩუქება თავის თავში გულისხმობს კეთილ განზრახვას და არა ურთიერთშემხვედრ დაკმაყოფილებას.

IV. თანასაკუთრების გაყოფა მეუღლეთა შორის

4.1 საერთო ქონების გაყოფა

სამოქალაქო კოდექსის 1164-ე მუხლით გათვალისწინებულია მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფა. მეუღლეთა საერთო ქონება თითოეული მეუღლის მოთხოვნით შეიძლება გაიყოს როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე მისი შეწყვეტის შემდეგ.

⁷⁰ რუსიაშვილი გ., კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2015, გვ. 66

მეუღლეთა თანაზიარი ქონება მათ ეკუთვნით თანაბრად, წილის წინასწარ განუსაზღვრელად. თითოეული მათგანის წილის განსაზღვრა შეიძლება მოხდეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივე მათგანის მიერ თანაზიარი ქონების გაყოფის მოთხოვნის შემთხვევაში. საერთო ქონების გაყოფის საკითხი, ჩვეულებრივ, განქორწინების დროს დგება. ამერიკის შეერთებულ შტატებში ვხვდებით ტერმინს „არატრადიციული ქონება“, რაც გულისხმობს რეპუტაციის ღირებულებას, ანუ ამერიკის სასამართლოების ნაწილი აღნიშნულ ტერმინში თვით საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომსაც კი ქონებად მოიაზრებს.⁷¹ „არატრადიციულ ქონებასთან“ დაკავშირებით კალიფორნიის შტატის უზენაესმა სასამართლომ საკმაოდ განსხვავებული და საინტერესო მიდგომა შემოგვთავაზა, რომელშიც შემოთავაზებულ იქნა ქონების ოდენობის განსაზღვრის მეთოდები, რომელიც სამომავლოდ მიეკუთვნება ერთ-ერთ მეუღლეს, განქორწინებისას მისი გაყოფის შემთხვევაში შემდეგნაირად: ა) პირის (მეუღლე) შემოსავლების შედარება დიპლომის აღებამდე და მისი ალების შემდგომ; ბ) დროისა და ხარჯების დადგენა ; გ) ერთ-ერთი მეუღლის ინტერესის დადგენა მეუღლის მიერ დიპლომის აღებისადმი; დ) საერთო შემოსავლებისა და დანახარჯების შეფასება იმის გათვალისწინებით, რომ ერთი სწავლობდა და მეორე მუშაობდა.“⁷²

ქორწინების შეწყვეტა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით იწვევს არა მარტო პირად, არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობათა, არამედ ქონებრივ უფლება-მოვალეობათა შეწყვეტასაც. უნდა შეწყდეს თანაზიარი საკუთრების უფლებაც. ამიტომ ხდება იმ ქონების გაყოფა, რომელიც მეუღლეებმა ერთად ცხოვრების პერიოდში შეიძინეს. მეუღლეთა თანაზიარი ქონების გაყოფა შესაძლებელია აგრეთვე ქორწინების განმავლობაშიც. ეს უმეტესად მაშინ ხდება, როცა მეუღლეები სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, იძულებულნი არიან ცალკ-ცალკე იცხოვრონ. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ხანგრძლივი პერიოდით სხვა რეგიონში მუშაობა და სხვა. თუ მეუღლეები ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდანვე ცალკ-ცალკე ცხოვრობდნენ, მათ მიერ შეძენილი ქონებაც თანაზიარად ჩაითვლება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მეუღლეები ასეთი ქონების სხვა რეჟიმზე თანხმდებიან.⁷³

საერთო ქონების გაყოფა შეიძლება მეუღლეთა ერთად ცხოვრების შემთხვევაშიც, მაგალითად ერთად ცხოვრების პერიოდში საერთო ქონების გაყოფის აუცილებლობის საკითხი შეიძლება მაშინ დადგეს, როცა ერთ-ერთ მეუღლეს საკმაო სახსრები სჭირდება

⁷¹ ХОБОР Р., НАЦИОНАЛЬНЫЙ ЮРИДИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ ТЕОРИЯ И ПРАКТИКА, СЕМЕЙНОЕ ПРАВО, МЕЖДУНАРОДНО-ПРАВОВОЙ ОПЫТ РЕГУЛИРОВАНИЯ ИМУЩЕСТВЕННЫХ ОТНОШЕНИЙ СУПРУГОВ ПО БРАЧНОМУ ДОГОВОРУ (НА ПРИМЕРЕ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВА ФРГ И США), 2016 , С. 136 <http://www.jurnaluljuridic.in.ua/archive/2016/4/30.pdf?fbclid=IwAR0gnfNTMy6ynD2Q-G4DxBqDivs 3cDIRDtpKa7NJTHCXffjZ5TdVnOyIbA>

⁷² იხ. იქვე

⁷³ შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 117

პირველი ქორწინებიდან შვილისათვის ან მშობლებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად და მეორე მეუღლე ნებას არ რთავს აგარაკის ან რომელიმე ნივთის გაყიდვაზე. ამიტომ, თუ ქონება არ გაიყოს, ისე წილის გაყიდვა შეუძლებელი იქნება. ეს კი საფუძვლად ედება თანაზიარი ქონების გაყოფის მოთხოვნას.⁷⁴ ქონების გაყოფის საფუძველი შეიძლება იყოს: მაგალითად, საქორწინო ურთიერთობის ფაქტობრივად შეწყვეტა; ერთ-ერთი მეუღლის მფლანგველური დამოკიდებულება საერთო თანასაკუთრების ქონებისადმი; მეუღლეთა შორის თანხმობის მიუღწევლობა საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე; ერთ-ერთი მეუღლის საჭიროება, რათა დაეხმაროს შვილებს პირველი ქორწინებიდან, ან ღრმად მოხუც მშობლებს; საერთო თანასაკუთრებაში იმ მეუღლის წილზე გადახდევინების მიღწევა, რომელიც თავს არიდებს ალიმენტის გადახდას.⁷⁵

წინა თავში ჩვენ შევხებით მეუღლეთა ინდივიდუალურ საკუთრებას, რაც აგრეთვე მოიცავდა პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ნივთებს. კოდექსის 1165-ე მუხლი ითვალისწინებს ასეთი ნივთების ბედს თანასაკუთრების გაყოფის შემთხვევაში.

მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფა ხდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით, ხოლო, თუ ასეთი შეთანხმება არ არის მიღწეული, მაშინ – სასამართლოს მიერ.

მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების გაყოფის დროს გადასაწყვეტია არა მარტო თითოეულის კუთვნილი წილის განსაზღვრის, არამედ ამა თუ იმ კონკრეტული ნივთის ბედის საკითხიც, აგრეთვე ყველა ნიუანსი, რომელიც მეუღლეთა შორის არსებულ ქონებრივ ურთიერთობასთან არის დაკავშირებული. ამ საკითხების გადაწყვეტა ჩვეულებრივ მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით ხდება. მათ შეუძლით შეადგინონ იგი. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია სანოტარო ორგანომ მეუღლეთა თხოვნის საფუძველზე გასცეს მოწმობა თანაზიარ ქონებაში თითოეული მეუღლის წილის შესახებ.⁷⁶ მაგრამ ასეთ შემთხვევაში, როცა მეუღლეები ვერ თანხმდებიან ქონების გაყოფასთან დაკავშირებით, დავა უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.⁷⁷ ქორწინების განმავლობაში მეუღლეთა შორის დავა ქონების გაყოფაზე იშვიათად ხდება ან მას სერიოზული ხასიათი არ გააჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი დავა შეიძლება განქორწინების მიზეზი გახდეს. ამიტომ, სასამართლო ძირითადად განქორწინების დროს ერევა მეუღლეთა შორის წამოჭრილი ქონებრივი დავის გადაწყვეტაში. სასამართლო განსაზღვრავს თითოეული მეუღლის

⁷⁴ შენგელია რ./შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011, გვ. 163

⁷⁵ დლონტი ი., ქონებრივი ურთიერთობანი მეუღლეთა შორის, #8 (128), "აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების" სტატიები, თბილისი, 2010 <http://www.aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=0&mas=810>

⁷⁶ შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 117

⁷⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლის გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეებზე, თბილისი, 2006. #9, გვ. 7

წილს საერთო საკუთრებაში და აგრეთვე იმას, თუ რომელი ნივთი რომელ მეუღლეს უნდა მიეკუთვნოს.⁷⁸

საერთო თანასაკუთრებაში წილის განსაზღვრის მოთხოვნის უფლება აქვს თითოეულ მეუღლეს. მათ შორის იმასაც, რომლის სახელზეც არ არის რეგისტრირებული ქონება. საცხოვრებელი სახლის რეგისტრაცია ერთ-ერთი მეუღლის სახელზე არ ცვლის მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების კანონიერ რეჟიმს. მეუღლეები საერთო საკუთრების თანასწორუფლებიანი სუბიექტები არიან, რის გამოც თითოეულ მათგანს უფლება აქვს მოითხოვოს მისი კუთვნილი წილის განსაზღვრა და გამოყოფა. მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფას განქორწინების გარეშე შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ ქონების მიმართ, რაც მათ მიერ შეძენილია გაყოფის მომენტამდე.⁷⁹

4.1.1 ნივთები, რომელზეც არ ვრცელდება თანასაკუთრების რეჟიმი

კანონმა მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში ზოგიერთი სახის ქონების სამართლებრივი მდგომარეობა წინასწარ განსაზღვრა. ასეთი ქონებაა პროფესიული საქმიანობის საგნები. მაგრამ მათი განსაკუთრებული დანიშნულების ფაქტიდან გამომდინარე, შეძენის მომენტიდანვე ცნობილი ხდება, თუ რომელი მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადავა ისინი საერთო ქონების გაყოფისას. კანონის იმპერატიული მოთხოვნის საფუძველზე, პროფესიული დანიშნულების საგნები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მეუღლეთა საერთო სახსრებით იყო შეძენილი, გადაეცემა იმ მეუღლეს, რომელსაც ისინი თავისი საქმიანობისთვის სჭირდება. მაგალითად მუსიკოსს მუსიკალური ინსტრუმენტები მიეუთვნება, ექიმს – საექიმო მოწყობილობა და ა.შ. მეუღლეთა თანაზიარი ქონების ასეთმა, ერთი შეხედვით არათანაბარმა გაყოფამ, არ უნდა გამოიწვიოს მეორე მეუღლის ქონებრივი ინტერესების შელახვა.⁸⁰

აგრეთვე მნიშვნელოვანია საკითხი პროფესიული საქმისთვის გადაცემული ქონების ღირებულების მეტობისა მეორე მეუღლისათვის დარჩენილ ქონებასთან შედარებით.

მეუღლეთა საერთო ქონების გაყოფისას სასამართლომ ჯერ უნდა გამორიცხოს ის ნივთი, რომელიც ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს. შემდეგ კი უნდა დაადგინოს საერთო ქონების ოდენობა სხეულებრივი და თანხობრივი გამოხატულებით. თითოეული მეუღლის წილის შესაბამისად, მათ მიეკუთვნებათ თანაზიარი საკუთრების

⁷⁸ შენგელია რ./შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011, გვ. 164

⁷⁹ ღლონტი ი., ქონებრივი ურთიერთობანი მეუღლეთა შორის, #8 (128), "აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების" სტატიები, თბილისი, 2010 <http://www.aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=0&mas=810>

⁸⁰ შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 119

ობიექტები ნატურით და ფულადი გამოხატულებით. ქონების ნატურით გაყოფის დროს შესაძლებელია ცალკეული ნივთები თავისი ღირებულების მიხედვით თანაბრად არ გაიყიდოს და ერთ-ერთი მეუღლის წილად აღმოჩნდეს უფრო მეტი ღირებულების ნივთი, ვიდრე მისი წილის შესაბამისი იყო. ასეთ შემთხვევაში ზედმეტად მიღებული ქონების ფულადი კომპენსაცია უნდა მიეცეს მეორე მეუღლეს. შესაძლებელია აგრეთვე ნამატი ღირებულების შესაბამისი სხვა ნივთის გადაცემა კომპენსაციის სახით, ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს უმეტესად მაშინ როცა პროფესიული დანიშნულების საგნების მიკუთვნება ხდება.⁸¹

საერთო ქონების გაყოფის საკითხი კანადაშიც ზოგადი წესის მიხედვით რეგულირდება, რაც გულისხმობს იმას, რომ მეუღლეებს შორის განქორწინების შემთხვევაში იყოფა მთელი ქონება გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა:

1. თუ ქონება ერთ-ერთ მეუღლეს მიღებული აქვს საჩუქრად ან ანდერძით ქორწინების შემდეგ. მაგალითად, თუ ქმარმა მიიღო ანტიკვარი მანქანა საჩუქრად ან ანდერძით ბიძისაგან, განქორწინების დროს ის არ გაიყოფა.
2. ასევე არ იყოფა მოგება, რომელიც მიღებულია ქორწინების შემდგომ მესამე პირის მიერ ნაჩუქარი ან ანდერძით დაგროვებული ქონების შედეგად. მაგალითად, მეუღლისათვის დედის მიერ დატოვებული თანხით ინვესტიციის განხორციელების შედეგად მიღებული მოგება .
3. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მეუღლეს მიღებული აქვს მენტალური დაზიანება ან მოყვა ავარიში, ამის საფუძველზე მიღებული კომპენსაცია არ იყოფა.
4. დაზღვევა: იმ შემთხვევაში თუ მეუღლის მამა გარდაიცვლება და იგი მის ქალიშვილს დაასახელებს სადაზღვევო პროცედურის ბენეფიციარად, ქორწინების დასრულების შემდგომ აღნიშნულზე მეორე მეუღლეს არ გააჩნია მოთხოვნის უფლება.⁸²

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საერთო ქონების გაყოფა ხდება ქორწინების განმავლობაში. ამისათვის კანონმდებელმა დაადგინა ცალკე ნორმა, კერძოდ: თუ საერთო ქონების გაყოფა ხდება ქორწინების განმავლობაში, მაშინ ქონების ის ნაწილი, რომელიც არ გაყოფილა, და აგრეთვე ქონება, რომელსაც ისინი შეიძენენ მომავალში, ჩაითვლება მეუღლეთა თანასაკუთრებად, თუკი საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (სსკ-ის 1167-ე მუხლი).

ქორწინების განმავლობაში საერთო სახსრებით შექმნილი ქონების გაყოფისას, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ დავა შეიძლება არსებობდეს არა მთელ საერთო ქონებაზე, არამედ მხოლოდ მის ნაწილზე. ამასთან, გაიყოფა მეუღლეთა შორის დავის მომენტისათვის არსებული საერთო ქონება. საერთო ქონების ნაწილის გაყოფისას

⁸¹ შენგელია რ./შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011, გვ. 165

⁸² Michael G. Cochrane, Do We Need a Marriage Contract?, 2010., P 57

<https://books.google.ge/books?id=ejPC1qzV3eEC&pg=PA41&dq=marriage+contract&hl=en&sa=X&ved=0ahUKEwjX3uaXm7LjAhVQyaYKHVozAmQQ6AEIOzAD#v=onepage&q&f=true>

აუცილებელია მთელი თანაზიარი საკუთრების ოდენობის გარკვევა და თითოეული მეუღლის ნაწილის შესაბამისად, მისი მატერიალური ან ფულადი გამოხატულების დანაწილება მეუღლეთა შორის. სწორედ ამიტომაც საჭირო საერთო ქონების წილზე დავის გადაწყვეტისას გათვალისწინებული იქნეს სხვა ნაწილის ოდენობაც და თითოეული მეუღლის მთლიანი წილი მთლიან თანასაკუთრებაში, ასეთ შემთხვევაში თანაზიარი ქონების განსაზღვრული ნაწილი გადავა მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაში. რაც შეეხება საერთო ქონების იმ ნაწილს, რომელსაც მეუღლეები მომავალში შეიძენენ, იგი მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაში უნდა ჩაითვალოს. კანონით ეს დებულება შეიძლება შეიცვალოს თვით მეუღლეთა ნება-სურვილით.⁸³

ქორწინების პერიოდში საერთო ქონების ან მისი ნაწილის გაყოფის შესახებ შეთანხმება ან სასამართლოს გადაწყვეტილება, შეიძლება მეუღლეთა სურვილის საფუძველზე გაუქმებული იქნეს. ასეთ შემთხვევაში მეუღლეთა განცალკევებული ქონება კვლავ ჩაითვლება თანაზიარ საკუთრებად.

4.2 მეუღლეთა ვალდებულებების გაყოფის წესი

ოჯახი არის ერთიანი სტრუქტურული წარმონაქმნი, რომელსაც გარდა ემოციური კავშირისა, რაც სიყვარულის სახით გამოიხატება აქვს სამართლებრივი საფუძველი, ქორწინების რეგისტრაციის სახით და ბუნებრივია ქორწინების რეგისტრაციით იწყება რიგი სამართლებრივი უფლება-მოვალეობები. მეუღლეები პასუხს აგებენ მეორე მეუღლის მიერ გადაგმული იმ ნაბიჯებისათვის, რომლებიც მიმართულია უშუალოდ ოჯახის კეთილდღეობისათვის. შესაბამისად, ერთ-ერთი მეუღლის მიერ აღებული ვალდებულებები, ამ შემთხვევაში კრედიტების სახით, გარკვეულ შემთხვევებში იწვევს მეორე მეუღლის პასუხისმგებლობასაც ამ კრედიტორების წინაშე. განვიხილოთ რა შემთხვევაში ეკისრებათ მეუღლეებს პასუხისმგებლობა მეორე მეუღლის მიერ აღებული კრედიტებისათვის და რა დოზით ხდება ამ კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

4.2.1 საკუთრების გაყოფის წესი მეუღლეთა შორის არსებულ ვალდებულებებზე-„ვალები“

მოცემულ საკითხს არეგულირებს სამოქალაქო კოდექსის 1169-ე მუხლში, კერძოდ: „მეუღლეთა საერთო ვალები მათ შორის იყოფა საერთო ქონებაში თითოეულის კუთვნილი წილის თანაზომიერად.“

⁸³ იქვე, გვ. 166

მეუღლეთა ქონების სამართლებრივი განსაზღვრა მჭიდროდაა დაკავშირებული მათი პირადი და საერთო ვალის ცნებასთან. ქონების სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმი მეუღლეთა შორის ქონებრივი პასუხისმგებლობის გამიჯვნის საფუძველია. პირადად, ანუ ერთ–ერთი მეუღლის ვალად ჩაითვლება ისეთი ვალი, რომელსაც კერძო ხასიათი გააჩნია და მხოლოდ ინტერესებთან არის დაკავშირებული. პირადია ვალი, რომელიც აღებული იყო ქორწინებამდე ან თუნდაც ქორწინების პერიოდში, მაგრამ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, თუ ერთ–ერთმა მეუღლემ თავისი ძველი მეგობრის რესტორანში დასაპატიჟებლად თანაშრომლისგან ისესხა ფული ან ერთ–ერთ მეუღლეს სამკვიდრო ქონების მიღებასთან ერთად, ეკისრება სამკვიდროს დამტოვებლის ვალის გასტუმრება. საერთო კი ისეთი ვალია, რომელიც აღებულია ორივე მეუღლის მიერ ან თუნდაც ერთ–ერთის მიერ, მაგრამ მეორე მეუღლის ან ოჯახის სხვა წევრთა ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთია მაგალითად, საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად აღებული სესხი, ოჯახის რომელიმე წევრის სამკურნალოდ ნასესხები ფული და სხვა.⁸⁴

მეუღლეთა საერთო ვალები მათ შორის იყოფა ქონების იმ წილის თანაზომიერად, რომელიც თითოეულ მათგანს გააჩნია თანაზიარ საკუთრებაში. ვალებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი დგება არა მარტო განქორწინებისას, არამედ ქორწინების პერიოდშიც და არა მარტო მაშინ, როცა მეუღლეებს შორის საერთო ქონება უნდა გაიყოს, არამედ მაშინაც, როცა საერთო ქონების გაყოფის საკითხი საერთოდ არ დამდგარა. პასუხისმგებლობის წარმოშობის საფუძველად, ჩვეულებრივ, მიიჩნევა კრედიტორის მოთხოვნა მეუღლეების ან ერთ–ერთი მათგანის დაუბრუნებელი სესხის დაფარვის, სხვისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ და სხვა.⁸⁵

განსხვავებულ რეგულაციებს ადგენს სამოქალაქო კოდექსი იმ შემთხვევისათვის, როდესაც საკითხი ეხება ერთ–ერთი მეუღლის ვალის დაფარვის წესს. კერძოდ, „ერთ–ერთი მეუღლის ვალის დასაფარავად გადახდევინება შეიძლება მოხდეს მისი ქონებიდან ან/და თანასაკუთრებაში მისი წილიდან, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების გაყოფის შემთხვევაში“ (სსკ-ის 1170-ე მუხლის პირველი ნაწილი).

კანონი იცავს მეუღლის ქონებრივ ინტერესებს, თუ მეორე მეუღლე მონაწილეობს სხვადასხვა ქონებრივ გარიგებაში თავისი და არა ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთ დროს, მოვალე მეუღლის ვალის დასაფარად გადახდევინების მიქცევა ხდება მის ინდივიდუალურ საკუთრებაზე და იმ წილზე, რომელიც მას თანასაკუთრებაში ეკუთვნის. თუ ვალის დასაფარავად საკმარისია ინდივიდუალური საკუთრების ქონება, მაშინ გადახდევინება მისგან მოხდება. ეს მარტივად ხორციელდება და არ არის დაკავშირებული საერთო საკუთრებაში მეუღლეთა წილის განსაზღვრასთან. მაგრამ, თუ მოვალე მეუღლეს სურს ვალის გადახდა თანაზიარ საკუთრებაში მისი წილიდან ან

⁸⁴ შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 124

⁸⁵ შენგელია რ./შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011, გვ. 169

ინდივიდუალური საკუთრება არ ყოფნის ვალის დაფარვას, მაშინ უნდა მოხდეს საერთო ქონების გაყოფა და მოვალე მეუღლის ვალდებულების შესრულება. ასეთ შემთხვევაში, მეორე მეუღლის ინდივიდუალური ქონება და წილი თანაზიარ საკუთრებაში ხელუხლებელია.⁸⁶ თუ ვალი აღებულია ერთ–ერთი მეუღლის მიერ, მაგრამ ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე, იგულისხმება, რომ ვალი საერთოა და გადახდილ უნდა იქნეს ორივე მეუღლის თანაზიარი საკუთრებიდან. იყო თუ არა ვალის აღება განპირობებული ოჯახის ინტერესებით, უნდა დაადგინოს სასამართლომ. სასამართლომ ასეთ შემთხვევაში უნდა გაარკვიოს ვალის აღების მიზანი და მისი გამოყენების შედეგები. არასწორად მოიქცა ქუთაისის საქალაქო სასამართლო, როცა მოსარჩელე ერთი მეუღლისაგან ითხოვდა სესხის სახით მეორე მეუღლისათვის მიცემულ თანხას და სარჩელი არ დააკმაყოფილა იმ საფუძველით, რომ ვალის ამღებმა პირადი საჭიროებისათვის აიღო იგი. სინამდვილეში კი, მსესხებელი მეუღლე ნასესხები თანხით საბერძნეთში გაემგზავრა და იქ დაიწყო მუშაობა. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოვალე მეუღლე საბერძნეთში მუშაობს და მიღებული ანაზღაურებით არჩენს ოჯახს. ამიტომ ასეთი ვალი მან ჩათვალა არა პირად, არამედ მეუღლეთა საერთო ვალად. ასეთი პოზიცია გაიზიარა საკასაციო ინსტანციამაც⁸⁷ და ვალის გადახდა საბოლოოდ დაეკისრა ორივე მეუღლეს.⁸⁸

ისეთ შემთხვევაში, როცა მეუღლეთა საერთო ვალი აღმატება თანაზიარი ქონების ღირებულებას, გადახდევინება უნდა გავრცელდეს თითოეული მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაზეც. თანაზიარი საკუთრების აღმატებული ვალის ნაწილი თანაბრად უნდა დაიფაროს მეუღლეთა ინდივიდუალური საკუთრებიდან.⁸⁹

აღნიშნული ვალების გამო მეუღლეთა საერთო ქონებიდან გადახდევინება შეიძლება მაშინ, თუ სასამართლო დაადგენს, რომ, რაც ვალდებულებით იყო მიღებული, გამოყენებულია მთელი ოჯახის საერთო ინტერესებისათვის.

ერთ–ერთი მეუღლის მიერ დანაშაულებრივი მოქმედებით სხვისთვის მიყენებული ზიანი ანაზღაურებულ უნდა იქნეს მეუღლეთა თანაზიარი საკუთრებიდან, თუ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადგინდა, რომ ის ქონება დანაშაულებრივი გზითაა შეძენილი. ასეთ შემთხვევაში, მეორე მეუღლის ინდივიდუალურ საკუთრებაზე გადახდევინება არ ვრცელდება. თუ განაჩენით არ არის დადგენილი თანაზიარი საკუთრების დანაშაულებრივი გზით მიღებული სახსრებით შეძენის ფაქტები, მაშინ გადახდევინება უნდა გავრცელდეს მხოლოდ ზიანის მიმყენებელი მეუღლის წილზე საერთო საკუთრებაში და მის ინდივიდუალურ

⁸⁶ შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 125

⁸⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეებზე, თბილისი, 2006, #9, გვ. 3

⁸⁸ შენგელია რ./შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011, გვ. 170

⁸⁹ იქვე, გვ. 171

საკუთრებაზე. მეორე მეუღლე ამ დროს საერთოდ გამორიცხულია ქონებრივი ვალდებულებებიდან.⁹⁰

მეუღლეთა შორის თანაზიარი ქონების გაყოფა ყოველთვის არ უკავშირდება მათი ქორწინების შეწყვეტის მომენტს. ჯერ ერთი შეიძლება მეუღლეებმა თვითონ გადაწყვიტონ ეს საკითხი. მეორეც განქორწინების შემდეგაც არის დასაშვები ქონებრივი საკითხების გადაწყვეტა. განქორწინების შემთხვევაში, თუ მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება მათ შორის არ გაყოფილა, იგი შეიძლება ერთ-ერთი მეუღლის მფლობელობაში იყოს ან თუნდაც ორივესთან ცალ-ცალკე, მაგრამ არათანაზიარი ოდენობით. ამის გამო თითოეულ მათგანს ან ორივეს შეიძლება ჰქონდეს მეორე მეუღლესთან არსებული ქონების არამცთუ მფლობელობის, არამედ სარგებლობის შესაძლებლობაც. ამიტომ განქორწინება ყველა შემთხვევაში განსაზღვრულ უარყოფით გავლენას ახდენს ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის საკუთრებითი უფლებამოსილების განხორციელებაზე. რადგან ეს თითოეული მეუღლისათვის კარგად არის ცნობილი, ისინი შეეცდებიან ყოველგვარი გაურკვევლობა მოხსნან სასამართლოს მეშვეობით. მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა ნებისმიერ დროს, არამედ კანონით დადგენილ ვადაში. კანონი კი ადგენს სამ წლიან ხანდაზმულობის ვადას იმ მოთხოვნებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია მეუღლეთა თანაზიარი ქონების გაყოფასთან. ამ ვადის დენა იწყება ქორწინების შეწყვეტის მომენტიდან, ე.ი. სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში განქორწინების რეგისტრაციის დღიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ ყოფილი მეუღლეები კარგავენ ერთად ცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონებრივი უფლებების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობას.⁹¹

V. საქორწინო კონტრაქტი, როგორც მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთი საფუძველი

5.1 საქორწინო კონტრაქტის არსი

საქორწინო ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უძველესი სამართლებრივი ინსტიტუტია. იგი სათავეს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე საუკუნით ადრე იღებს. პირველი წერილობითი დოკუმენტი გვხვდება ძველ საბერძნეთში, რომსა და ეგვიპტეში. იმ დროს ქალი და მამაკაცი აფორმებდნენ შეთანხმებას, რომლითაც ადგენდნენ როგორც მათ შორის ქონებრივ ურთიერთობას, აგრეთვე ერთობლივად შეძენილი ქონების მემკვიდრეობის საკითხსაც. ასეთი რამ საძრახისად ან სამარცხვინოდ არ ითვლებოდა და მომავლის "დაზღვევა" საკმაოდ

⁹⁰ შენგელია რ./შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011, გვ. 127

⁹¹ შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000, გვ. 172

გავრცელებული იყო. მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებში, საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტის აღდგენა მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ინგლისში, XIX საუკუნის ბოლომდე "საერთო სამართლის" (Common Law) შესაბამისად, მეუღლეთა ქონება ქმრის საკუთრებად ითვლებოდა და ის ქონებაც კი, რომელსაც ცოლი ქორწინებამდე ფლობდა, ქმრის საკუთრებაში გადადიოდა.⁹²

ქორწინება არ არის უბრალოდ კონტრაქტი ორ ადამიანს შორის. ეს არის კონტრაქტი ორ ადამიანსა და საზოგადოებას შორის. დაქორწინებისას ადამიანები ამ იურიდიული ფაქტის დადგომით იძენენ მეუღლის სტატუსს. ამ სტატუსის შეძენა, ერთგვარ კატალიზატორად გვევლინება ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში. როცა წყვილი ქორწინდება ისინი უთანხმდებიან არა მხოლოდ ერთმანეთს, არამედ მთელ საზოგადოებას. ეს შეთანხმება ამბობს, რომ ეს ორი ადამიანი ერთად იცხოვრებს, იზრუნებს ერთმანეთზე, ერთად გაზრდიან შვილებს. ამის სანაცვლოდ საზოგადოება აღიარებს მათ, როგორც ოჯახს, აძლევს სპეციალურ ავტონომიას და სპეციალურ სტატუსს.⁹³

რამდენადაც ოჯახი სოციალური მოვლენაა და საზოგადოების განვითარებაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესსა და ცვლილებას ასახავს საზოგადოების განვითარების კონკრეტული ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური პირობები თავის მოთხოვნებს კარნახობს ოჯახს და ამდენად, მისი სოციალური ფუნქციების ძირითად წყაროს წარმოადგენს. მათ ცვლილებასთან ერთად იცვლება ოჯახის ფუნქციებიც.⁹⁴

1997 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა საქორწინო ხელშეკრულების ინსტიტუტი, თუმცა იქვე აკრძალა მისი მეშვეობით მეუღლეთა პირადი უფლებების დარეგულირება, რაც სავსებით სწორად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მხოლოდ სიყვარულზე, ნებაყოფლობითობაზე და ნდობაზე დაფუძნებული ქორწინება შეიძლება იყოს მტკიცე და ხანგრძლივი. ხელშეკრულების გაფორმებისას მეუღლეებს ეძლევათ შესაძლებლობა შეცვალონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოგიერთი ნორმა და ქონებრივი უფლება-მოვალეობები გადაწყვიტონ საკუთარი შეხედულებისამებრ.⁹⁵

საქორწინო კონტრაქტი არის ჩვეულებრივი გარიგება, რომელიც საშუალებას აძლევს მხარეებს - მომავალ მეუღლეებს, აწონ-დაწონონ ყველა თავისი მოთხოვნა და

⁹² დლონტი ი., ქონებრივი ურთიერთობანი მეუღლეთა შორის, #8 (128), "აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების" სტატიები, თბილისი, 2010 <http://www.aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=0&mas=810>

⁹³ კუსიანი ე., საქორწინო კონტრაქტი - მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ თეორიული ფორმულაცია? თბილისი, 2012, გვ. 4, <http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf>

⁹⁴ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2000, გვ. 37

⁹⁵ დლონტი ი., ქონებრივი ურთიერთობანი მეუღლეთა შორის, #8 (128), "აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების" სტატიები, თბილისი, 2010 <http://www.aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=0&mas=810>

სურვილი. ლოგიკური სისტემის სახით ჩამოაყალიბონ მათი მატერიალური და მორალური ვალდებულებები. სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ურთიერთობების გარდა დამატებით ან სხვაგვარად განსაზღვრონ მათვის ხელსაყრელი პირობები, რომელიც შეიძლება ასახავდეს ქორწინების განმავლობაში არსებულ ურთიერთობებსაც და განქორწინების შემთხვევაში დავებისა და სხვა ცალკეული საკითხების მოგვარების წესს.⁹⁶

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ხელშეკრულება გარკვეული ვადით ან უვადოდ შეიძლება დაიდოს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს შორისაც ნებისმიერ დროს, დანქორწინების ვადის მიუხედავად, მაგრამ აუცილებლად წერილობითი ფორმით და უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით.⁹⁷

საქორწინო კონტრაქტი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების რეგულირებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. ის არის შესაძლებლობა მეუღლეებისთვის, ერთგვარად, კანონის ნორმების გვერდის ავლით, თავად მოაწესრიგონ, ქორწინების განმავლობაში არსებული ურთიერთობები და განქორწინების შემთხვევაში დავების მოგვარების წესები. განსაკუთრებით აქტუალურია, საქორწინო კონტრაქტით განზაზღვრა იმისა, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის ქონება, იქნება ეს მათი ინდივიდუალური, თუ თანაზიარი საკუთრება. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა უკავშირდება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ხოლო მისი დადების თარიღად, ნავარაუდევია 1905-1915 წლები.⁹⁸ თუმცა, უძველესი საქორწინო კონტრაქტი და მისი წარმოშობა დაკავშირებულია ეგვიპტის სახელმწიფოსა და მის სამართალთან, სადაც ძვ.წ 449 წელს დაიდო პირველი საქორწინო კონტრაქტი.⁹⁹ "ყველაფერი ახალი, კარგად დავიწყებული ძველია" - ეს გამონათქვამი მშვენივრად აღწერს საქორწინო კონტრაქტის წარმოშობის თავისებურებებს. ეს ინსტიტუტი, შეიძლება ითქვას, სიახლეა ქართულ სამოქალაქო სამართალში. მართალია, კანონში მას მიჩნეული აქვს საპატიო ადგილი, მაგრამ ქართული საზოგადოების ცნობიერებაში ის ახლა იკიდებს ფეხს. საკითხავია, რამდენად პასუხობს ის თანამედროვე საზოგადოების მორალურ-ეთიკურ მოთხოვნებს.¹⁰⁰ მსჯელობისთვის აუცილებელია ნათელი გავხადოთ საქორწინო

⁹⁶ საქორწინო კონტრაქტი - მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ თეორიული ფორმულაცია? თბილისი, 2012, გვ. 4 <http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf>, გვ.5

⁹⁷ დლონტი ი., ქონებრივი ურთიერთობანი მეუღლეთა შორის, #8 (128), "აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების" სტატიები, თბილისი, 2010 <http://www.aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=0&mas=810>

⁹⁸ თუმანიშვილი გ.გ., "საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა და განვითარება", Georgian Electronic Scientific Journal: Jurisprudence №2-2004, თბილისი, 2004, გვ.41

⁹⁹ თუმანიშვილი გ.გ., "საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა და განვითარება", Georgian Electronic Scientific Journal: Jurisprudence №2-2004, თბილისი, 2004, გვ. 44

¹⁰⁰ კუხიანი ე., საქორწინო კონტრაქტი - მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ თეორიული ფორმულაცია? თბილისი, 2012 <http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf>, გვ. 2

კონტრაქტის არსი. სსკ 1172-ე მუხლის დისპოზიციაში მითითებულია, რომ საქორწინო ხელშეკრულება შეუძლიათ დადონ მეუღლეებმა.¹⁰¹

5.1.1 საქორწინო ხელშეკრულების აქცესორული ბუნება

ვფიქრობ, სამოქალაქო სამართლის ნორმა გარკვეულწილად ხარვეზიანია და მის გამოსასწორებლად საჭიროა ამ ნორმის ერთგვარი განმარტება. სამოქალაქო კოდექსის 1173-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქორწინო ხელშეკრულება, დადებული ქორწინების კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციამდე, ძალაში შედის ქორწინების რეგისტრაციისთანავე. აქედან გამომდინარეობს, რომ მექორწინებმა ქორწინების რეგისტრაციამდე დადეს ხელშეკრულება, ხოლო ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლა კი განისაზღვრა ქორწინების რეგისტრაციის დღით. აქედან გამომდინარე, ნორმის მიზნიდან გამომდინარე თუ მოვახდენთ 1172-ე მუხლის განმარტებას, მაშინ ე.წ ხარვეზი აღარ გამოჩნდება. საქორწინო ხელშეკრულების დადება ხდება დასაქორწინებელ პირებს ან მეუღლეებს შორის, ეს ხელშეკრულება ეხება მათ ქონებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, რომელებიც მოქმედებს ქორწინების და განქორწინებისას. განქორწინებისას, საქორწინო ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში მეუღლეები გაცილებით ნაკლებ სულიერ და ფიზიკურ ძალებს ხარჯავენ ერთმანეთის მიმართ წაყენებული ქონებრივი პრეტენზიების გასარკვევად, ვიდრე ეს საქორწინო ხელშეკრულების არარსებობის პირობებში მოხდებოდა.¹⁰² საქორწინო ხელშეკრულება აქცესორულია, რადგან უკავშირდება ქორწინებას, რადგან დამოკიდებულია იმაზე შედგება თუ არა ქორწინება და შესაბამისად ის ან შევა ძალაში ან არა, თუმცა საქორწინო კონტრაქტი ვერ იარსებებს ქორწინებისგან დამოუკიდებლად.

5.1.2 საქორწინო კონტრაქტის აქტუალობა და მისი როლი ქართულ საზოგადოებაში

საქართველოში ამ ინსტიტუტს დამკვიდრება უჭირს, ვინაიდან ქორწინებისას საქორწინო კონტრაქტის დადება, ერთგვარად, გრძნობებში დაურწმუნებლობასთან ასოცირდება. ქორწინების დროს ვერავინ წარმოიდგენს, რომ მათ სიყვარულს ოდესმე საფრთხე დაემუქრება და საქორწინო კონტრაქტის დადების მოთხოვნა გარკვეულ შემთხვევაში შეურაცხყოფადაც კი აღიქმება ქართველის ცნობიერებაში, მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკურად განქორწინების პროცენტული წილი მაღალია. ამიტომ,

¹⁰¹ ქანთარია გ., ჯგერენაია ვ., სტატია: მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, #8, თბილისი, 2018, გვ. 90

¹⁰² კუსიანი ე., საქორწინო კონტრაქტი - მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ თეორიული ფორმულაცია? თბილისი, 2012 <http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf>, გვ. 5

საკმაოდ იშვიათია გააზრებული და ერთმანეთის ინტერესებს მორგებული საქორწინო კონტრაქტები, რასაც საზოგადოებრივი აზრის შიშთან ერთად ხშირად ინფორმირებულობის დაბალი დონეც განაპირობებს აღნიშნული კი სამწუხაროდ, საზოგადოების დაბალ მართლშეგნების დონეზე მიუთებს, რაც აფერხებს ამ ინსტიტუტის განვითარებას, ან ინსტიტუტის განვითარების შეფერხებით კი, პირველ რიგში, მხარეთა ინტერესებს აზიანებს.¹⁰³

ქორწინება სამართლებრივი თვალსაზრისით განიხილება ხელშეკრულების ნაირსახეობად, ანუ იგი არის სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება,¹⁰⁴ მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ საქორწინო ხელშეკრულება მჭირდო კავშირშია ქორწინებასთან და ოჯახთან, შეიძლება ითქვას, რომ განსაზღვრული სპეციფიკით გამოირჩევა. საქორწინო კონტრაქტი არის გარიგება, რომელიც მხარეებს საშუალებას აძლევს ლოგიკური სისტემის სახით ჩამოაყალიბონ მათი მატერიალური და მორალური ვალდებულებები.¹⁰⁵ საქორწინო კონტრაქტის სპეციფიკურობას განაპირობებს ისიც, რომ ის წააგავს ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებას, მაგრამ ჩვენ ვიზიარებთ იმ პოზიციას, რომელიც ამბობს, რომ ვალდებულებითთან მსგავსების მიუხედავად საქორწინო ხელშეკრულება საოჯახოსამართლებრივი გარიგებაა.¹⁰⁶ საქორწინო კონტრაქტის თავისებურებებზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს რამდენიმე საკითხზე: 1. საქორწინო კონტრაქტის სუბიექტები: დასაქორწინებელი პირები ან მეუღლეები (ჩვეულებრივ ხელშეკრულებაში სუბიექტთა წრე ასე შეზღუდული არ არის). 2. საქორწინო კონტრაქტის ობიექტები: მხოლოდ ქონებრივი უფლება-მოვალეობები. 3. საქორწინო კონტრაქტის მოქმედება დროში: შეიძლება დაიდოს როგორც ვადიანი, ისე უვადო. ქორწინებამდე დადებული კონტრაქტი ძალაში შევა მხოლოდ ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ. ამასთანავე, ხელშეკრულების პირობები შეიძლება ეხებოდეს არამარტო უკვე არსებულ, არამედ მომავალში ქორწინების განმავლობაში მეუღლეების მიერ შეძენილ ნივთებსა და უფლებებს.¹⁰⁷

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სპეციფიკისა, ეს ხელშეკრულება არ თავისუფლდება კანონით დადგენილი ხელშეკრულების ფორმისგან და შინაარსში გარკვეული შეზღუდვებისგან. მეტიც, თუ ჩვეულებრივი ხელშეკრულებები ხშირ შემთხვევაში ზეპირადაც იდება, ხოლო წერილობით დადებული ხელშეკრულებების

¹⁰³ ქანთარია გ./ჯგერენაია ვ., სტატია: მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, #8, თბილისი, 2018, გვ. 91

¹⁰⁴ ხვედელიანი დ., საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში, „მართლმსაჯულება“, №2, თბილისი, 2007, გვ.98

¹⁰⁵ კუსიანი ე., საქორწინო კონტრაქტი - მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ თეორიული ფორმულაცია? თბილისი, 2012, <http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf>, გვ. 5

¹⁰⁶ თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, როგორც მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთი საფუძველი, ჟურნალი „სამართალი“, №4-5, თბილისი, 2003, გვ.46

¹⁰⁷ თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის დამკვიდრების პრობლემა საქართველოში, სოროსის საგანმანათლებლო ჟურნალი, თბილისი, 2003, გვ.5

ნოტარიულად დამოწმება არ არის სავალდებულო, საქორწინო კონტრაქტის შემთხვევა განსხვავებულია. კანონი იმპერატიულად მოითხოვს მის წერილობით დადებას და სანოტარო წესით დამოწმებას. საქორწინო ხელშეკრულების ფორმას არაერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, როგორცაა: სიცხადის, განზრახვის სერიოზულობის/გაფრთხილების ფუნქცია, მკაფიოობის, მტკიცების, საინფორმაციო, საკონსულტაციო, აღსრულებადობის ფუნქციები,¹⁰⁸ გამომდინარე იქიდან საქორწინო კონტრაქტი მეუღლეთა შორის განქორწინების შემთხვევაში დავის მშვიდობიანად გადაწყვეტის და საერთოდ, ქორწინების პერიოდის მხარეების ინტერესების შესაბამისად წარმართვის საუკეთესო საშუალებაა, კანონი ამ ინსტიტუტს განსაკუთრებულად უფრთხილდება. ვინაიდან საქორწინო კონტრაქტი ქორწინებისგან დამოუკიდებლად ვერ იარსებებს შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ქორწინების სოციალური ხასიათი ანიჭებს საქორწინო ხელშეკრულებას სპეციფიკურ ხასიათს. ამდენად, საქორწინო ხელშეკრულება სპეციფიკურია სუბიექტთა შემადგენლობის, შინაარსის, ფორმის, ასევე, ძალაში შეცვლის და სხვა არაერთი მიზეზის გამო. თუმცა უმთავრესია ის, რომ საქორწინო ხელშეკრულება აქცესორულია და უკავშირდება ქორწინებას, ვინაიდან საქორწინო კონტრაქტი ქორწინებისგან დამოუკიდებლად ვერ იარსებებს.¹⁰⁹

თავდაპირველად საქორწინო ხელშეკრულება ზეპირი ფორმით იღებოდა, XVII საუკუნის დასაწყისიდან კი წერილობით (რაც პირველ რიგში ეხებოდა შემთხვევებს როდესაც ქალს მიწის ნაკვეთი ეძლეოდა მზითვად) ოჯახური ურთიერთობების საქორწინო კონტრაქტში გატარებული იყო პრინციპი იმის შესახებ რომ ქმარი, ქორწინების მთელი პერიოდის განმავლობაში ვალდებული იყო უზრუნველყო ცოლი საკვებით საცხოვრებელი ადგილით, ტანსაცმლით, სამედიცინო მომსახურებით, ასევე ვალდებული იყო შეესრულებინა ცოლ-ქმრული მოვალეობები.¹¹⁰

თუ წყვილი გადაწყვეტს, რომ სჭირდება საქორწინო კონტრაქტი, უნდა დაფიქრდნენ, რა პირობები უნდა გაითვალისწინონ მასში და როგორ ჩართონ ეს პირობები შეთანხმებაში. პირობები უნდა იყოს სამართლებრივად ჯანსაღი და სამართლიანი ორივე მხარისათვის. კონტრაქტი შესაძლოა არ გამოიყურება რომანტიკულად, მაგრამ მომავალ მეუღლესთან ერთად მუშაობა, პირობების მასთან ერთად განხილვა და შეჯერება, განამტკიცებს მეუღლეთა ურთიერთობას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქორწინება არის პარტნიორობა ყველა თვალსაზრისით.¹¹¹

¹⁰⁸ ამირანაშვილი გ., გარიგების ფორმის ფუნქციები, „სამართლის ჟურნალი“, №1, თბილისი, 2016, გვ. 50-60

¹⁰⁹ ქანთარია გ., ჯგერენაია ვ., სტატია: მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, #8, თბილისი, 2018, გვ. 93

¹¹⁰ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, მე-4 გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 183

¹¹¹ კუსიანი ე., საქორწინო კონტრაქტი - მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ თეორიული ფორმულაცია? თბილისი, 2012 <http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf>, გვ. 6

საქართველოში ბევრი პრაქტიკოსი იურისტი განმარტავს, რომ თითქოს და დასაქორწინებელ პირებს ან მეუღლეებს ამ ნორმის საფუძველზე ერთმევათ უფლება კონტრაქტში განსაზღვრონ არაქონებრივი ხასიათის უფლებები და მოვალეობები, რაც ვფიქრობ, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. მართალია მაგ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მეუღლეთა საკონტრაქტო ურთიერთობები რეგლამენტირებულია მხოლოდ ათი მუხლით, მაგრამ სამოქალაქო სამართლის პრინციპები და მთელი რიგი სამართლის ნორმათა ანალიზი და მათი შეჯერება გვაძლევს არც თუ ისე მწირე შესაძლებლობებს.¹¹²

ეული ქონება, საბანკო ანაზრები, აქციები და სხვა რაიმე ქონებრივი წილი, რომლებიც გახსნილია (შემენილია) ქორწინების განმავლობაში, ასევე პროცენტები (დივიდენდები) მათზე, წარმოადგენს როგორც ქორწინების პერიოდში, ასევე განქორწინების შემთხვევაშიც იმ მეუღლის საკუთრებას, რომლის სახელზეც არის გახსნილი (გაფორმებული) ეს ქონება. საბანკო პროცენტების და დივიდენდების განაწილებასთან დაკავშირებით შესაძლებელია მეუღლეთა შორის ცალკე შეთანხმება.¹¹³

5.1.3 საქორწინო კონტრაქტის მოქნილობა-„ნების ავტონომია“

მნიშვნელოვანია, რომ საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ შეცვალონ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის კანონით დადგენილი წესი. მეუღლეებს შეუძლიათ გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, რომელსაც დაემატება ქორწინების განმავლობაში შემენილი ქონებაც (საერთო ქონება) ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ თქვან უარი ამგვარ გაერთიანებაზე და დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე. მეუღლეებს უფლება აქვთ საქორწინო ხელშეკრულებით განსაზღვრონ შემოსავლებში მონაწილეობის პირობები, თითოეულის მიერ საოჯახო ხარჯების გაწევის წესი და ქონება, რომელიც გადაეცემა თითოეულ მეუღლეს ქორწინების შეწყვეტისას.¹¹⁴

საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეები თავიანთი შეხედულებისამებრ ინაწილებენ ქონებრივ უფლება-მოვალეობებს. მეუღლეთა ქონების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებულია მათ ნება-სურვილზე.¹¹⁵ თუმცა, კანონი ზოგიერთ შინაარსობრივ ასპექტზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს და

¹¹² თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, გვ. 13

¹¹³ ლლონტი ი., ქონებრივი ურთიერთობანი მეუღლეთა შორის, #8 (128), "აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების" სტატიები, თბილისი, 2010 <http://www.aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=0&mas=810>

¹¹⁴ იქვე.

¹¹⁵ შენგელია რ./შენგელია ე., საოჯახო და მემკვირდეობის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 142

იტოვებს უფლებას, არ დაუშვას საქორწინო კონტრაქტის დადების გამო ერთ-ერთი მეუღლის უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენა.

სამოქალაქო კოდექსი 1179-ე მუხლის 1-ელ ნაწილში იმპერატიულად არის მოწესრიგებული შემთხვევები, როდესაც მეუღლეები საკუთარ ნებას ვერ გაატარებენ საქორწინო ხელშეკრულებაში.¹¹⁶

ცნობილია, რომ საქართველოს კერძო სამართალი იყენებს და ეყრდნობა პრინციპს, ” რაც კანონით პირდაპირ აკრძალული არ არის - ნებადართულია”. სსკ-ს ზემონახსენები 1172-ე მუხლი მოთხოვნის სავალდებულო ძალის მიხედვით არის დისპოზიციური. ხოლო მისი დისპოზიცია – აღმჭურველი, ანუ ფორმულირებული, როგორც პირის უფლებამოსილება ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისა. რაც შეეხება აკრძალვას, სსკ-ს 1179-ე მუხლი დაუშვებლად მიიჩნევს საქორწინო კონტრაქტით მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობის, მშობლების უფლება-მოვალეობების შვილების მიმართ, საალიმენტო მოვალეობებისა და დავის შემთხვევაში სასამართლოში მიმართვის უფლების შეცვლას (შეზღუდვას). აღნიშნული სამართლის ნორმის დისპოზიცია მასში გამომხატული ქცევის წესის ფორმის მიხედვით არის ამკრძალავი.¹¹⁷

5.1.4 საქორწინო კონტრაქტის თავისებურება, კანონით დადგენილი აკრძალვები

მნიშვნელოვანია, რომ მეუღლეები ხელშეკრულებით ვერ შეცვლიან კანონით დადგენილ ურთიერთრჩენის მოვალეობას, რადგან ეს კანონსაწინააღმდეგოსთან ერთად ამორალურიც იქნება. არ შეიძლება მშობლები შეთანხმდნენ იმაზე, რომ მხოლოდ ერთმა მათგანმა აღზარდოს და არჩინოს შვილები. ასევე, კანონი კრძალავს მეუღლეთა შეხედულებით საალიმენტო ვალდებულებების შეცვლას როგორც ერთმანეთისა და შვილების, ისე სხვა პირთა მიმართაც.¹¹⁸ საქორწინო კონტრაქტით არ შეიძლება მხარეს დავის შემთხვევაში აკრძალოს სასამართლოსთვის მიმართვა, რადგან ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება კონსტიტუციით განმტკიცებულ ადამიანის ძირითად უფლებას. სამოქალაქო კოდექსის იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, არ შეიძლება საქორწინო კონტრაქტში ისეთი პირობების გათვალისწინება, რომელიც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ერთ-ერთ მეუღლეს. ამ დანაწესის შესრულება სავალდებულოა ორივე მხარისთვის და მისი დაუცველობა შესაძლოა გახდეს ხელშეკრულების შეწყვეტის ან გაბათილების საფუძველი. კერძოდ, კანონით აკრძალული დებულებებით შედგენილი საქორწინო კონტრაქტის კანონსაწინააღმდეგო ნაწილები შესაძლოა გაბათილდეს სსკ 54-

¹¹⁶ ქანთარია გ./ჯგერენაია ვ., სტატია: მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, #8, თბილისი 2018, გვ.94

¹¹⁷ თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, გვ.14

¹¹⁸ შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვირდოობის სამართალი, თბილისი, 2015, გვ. 142

ე მუხლის მიხედვით, როგორც კანონით დადგენილი წესისა და აკრძალვების დამრღვევი დებულებები. კანონმდებლის მიზანია საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტით მეუღლეების ურთიერთობის მოწესრიგებას შეუწყოს ხელი და დაიცვას კეთილსინდისიერი მეუღლის ინტერესები. სწორედ ამგვარი მიდგომის გამო ერთვება კანონი საქმეში. კანონის ჩარევა "მეუღლეების საქმეში" და მათი ნებისთვის გარკვეულწილად, საზღვრების დაწესება განპირობებულია მეუღლეების და ოჯახის სხვა წევრების ინტერესების დაცვის მიზნით. იმავე მიზნით, კანონი ითვალისწინებს საქორწინო ხელშეკრულების პირობების სასამართლოს მიერ შეცვლის შესაძლებლობასაც. ეს არის შემთხვევა, როცა სასამართლო დაინტერესებული მეუღლის განცხადების საფუძველზე, ცვლის ხელშეკრულების იმ პირობებს, რომლებიც უკიდურესად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებენ ერთ-ერთ მეუღლეს. ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც ყოფილა შემთხვევა, როდესაც მოპასუხე აპელირებდა საქორწინო კონტრაქტის დისკრიმინაციულ ხასიათზე, მაგრამ საქმის გამოკვლევის შემდეგ სასამართლომ საქორწინო კონტრაქტის პირობების შეცვლის შესახებ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.¹¹⁹

საყურადღებოა, რომ მოქმედი კანონმდებლობით, მეუღლეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ნებისმიერი სახის გარიგებებში, რომლებიც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით. ამგვარად, ზემომოყვანილ მდგომარეობათა შეჯერების საფუძველზე საქორწინო კონტრაქტის მხარეებს აქვთ სრული შესაძლებლობა შეთანხმდნენ არა მხოლოდ ქონებრივ უფლებებზე და მოვალეობებზე, არამედ არაქონებრივზეც. სხვა საკითხია დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს პოზიცია დარღვეულ უფლებასთან დაკავშირებით.¹²⁰

მეუღლეთა სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ მოქმედებს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებანი, აქვე საყურადღებოა ის გარემოება, რომ თვით საქორწინო ხელშეკრულებით წარმოშობილი ურთიერთობების სამართლებლივი რეგულირება ვერ ექცევა საოჯახო სამართლის, როგორც სამოქალაქო სამართლის ქვედარგის ჩარჩოებში. ამის ნათელი მაგალითია სამოქალაქო კოდექსის საოჯახო სამართლის წიგნში მოცემული სამართლის ნორმა¹²¹, იხ. სსკ 1176- ე მუხლის მესამე ნაწილი რომელიც განამტკიცებს მეუღლეთა უფლებას სახელშეკრულებო ურთიერთობაში, სახელდობრ საქორწინო ხელშეკრულებაში დაადგინონ თითოეული მეუღლის წილობრივი საკუთრება ქონებაზე. მოცემულ მუხლში ხსენებული უფლების განხორციელება მეუღლეებს შეუძლიათ საქორწინო ხელშეკრულებით, მაგრამ მეუღლეთა საერთო წილობრივი საკუთრების მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა

¹¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 იანვრის განჩინება, საქმე №ას-840-798-2013

¹²⁰ თუმანიშვილი გ. გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, გვ. 14

¹²¹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1176- ე მუხლის მესამე ნაწილი

ხდება სსკ-ს სანივთო სამართლის წიგნში არსებული ნორმის მიხედვით, კერძოდ, საერთო წილადი საკუთრების ურთიერთობებს არეგულირებს სსკ-ს 173-ე მუხლი.¹²²

საქორწინო ხელშეკრულება იდება კანონით დადგენილი ფორმით და წესით. კანონი იმპერატიულად ითხოვს მის დადებას წერილობით და სანოტარო წესით დადასტურებას. აუცილებელია მოხდეს სანოტარო წესით დადასტურება და არა დამოწმება. სანოტარო წესით დადასტურება, სანოტარო წესით დამოწმებისგან იმით განსხვავდება, რომ ამ დროს ხდება ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება და არა ხელშეკრულების შინაარსის კანონიერების შემოწმება.¹²³

გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დადგენილი, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი, ხოლო სსკ 68-ე მუხლი იძლევა ფორმის სახეებს, როგორც დისპოზიციური ნორმით (მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ მისი ამორჩევა), ასევე იმპერატიული (სავალდებულო) ნორმით, როცა კანონი განსაზღვრავს გარიგების კონკრეტული ფორმით დადებას. ნების გამოვლენა შეიძლება მოხდეს ზეპირად (ვერბალურად), წერილობით, რთული ფორმით (საჯარო რეესტრის რეგისტრაციისას), კონკლიუდენტური მოქმედებით და სხვა.¹²⁴

საქორწინო კონტრაქტის მიმართ გამოიყენება ის საერთო წესები, რომლებიც საერთოა ყველა სხვა გარიგებისათვის, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სპეციფიურ პირობებს და დათქმებს საქორწინო კონტრაქტის მიმართ ადგენს სამოქალაქო კოდექსში არსებული საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტში შემავალი ნორმები. რაც შეეხება თვით ამ კონტრაქტის ცნებას, კანონმდებელი ამ უკანასკნელს არ გვთავაზობს. იგი შემოიფარგლება მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ "მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას". ზემოაღნიშნული ფორმულირებულია სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლში. ეს გახლავთ საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის რიგით პირველი სამართლის ნორმა, რომელიც საკანონმდებლო ტექნიკის მიხედვით უნდა მოიცავდეს საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის ცნების განსაზღვრებას. ცნება ყოვლისმომცველია იმ შემთხვევაში, როდესაც განმარტავს ამა თუ იმ ინსტიტუტის, თუ ურთიერთობის და სხვა... შემავალ ელემენტებს.¹²⁵

საქორწინო კონტრაქტის ძირითად ობიექტად ჩვენ გვევლინება ის უფლებები და მოვალეობები, რომელთა წარმოშობის წყარო არის თვით ქონება როგორც ასეთი.

¹²² თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, გვ. 19

¹²³ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997, გვ. 352

¹²⁴ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1999, გვ. 346

¹²⁵ თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, გვ.22

მხედველობაში გვაქვს შემდეგი: კანონის მიხედვით, კერძოდ სსკ 1172-ე მუხლის თანახმად, მეუღლეებს შეუძლიათ დადონ საქორწინო კონტრაქტი, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინების განმავლობაში, ისე განქორწინებისას. ეს იმას ნიშნავს, რომ საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით მეუღლეებს ეძლევათ ლეგალური შესაძლებლობა მათთვის, როგორც პიროვნებებისათვის დამახასიათებელი, თავისუფალი ნების გამოვლენისა, და ლიტერალური სახით დაფიქსირებისა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამგვარი გზით დასაქორწინებელი პირების ან მეუღლების მიერ გამოვლენილი პერსონიფიცირებული თავისუფალი ნება უთუოდ არაორდინალური და მკვეთრად სუბიექტური ხასიათისაა.¹²⁶ შეუძლებელია, რომ მეუღლეთა ნება იყოს ერთნაირი. ეს განპირობებულია თუნდაც იმით, რომ მეუღლეები სხვადასხვა შეხედულებების და შეფასების უნარის მქონე პირები არიან. ხსენებულიდან გამომდინარე, საქორწინო კონტრაქტებს არ შეიძლება ჰქონდეთ ერთნაირი შინაარსი. ამასთანავე დავძენ, რომ თუ ძველი სამოქალაქო სამართლის კოდექსით მეუღლეთა ქონებრივი უფლებამოვალეობების მომწესრიგებელი ნორმები ატარებდა იმპერატიულ ხასიათს, საოჯახო სამართლის ამ ახალმა ინსტიტუტმა მას უდაოდ მიანიჭა დისპოზიციური ხასიათი. ხსენებულმა გარემოებამ კი, თავის მხრივ, შეუქმნა საქორწინო კონტრაქტის მხარეებს წინაპირობა, იმისათვის, რომ მათ შეეძლონ, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განახორციელონ, მაქსიმალურად ეფექტურად და სამართლიანად, თვითონ, თავისი თავისუფალი ნებისა და სინდისის თანახმად განსასღვრონ, როგორც საერთო ასევე განცალკევებულ ქონებასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული გარემოება კი თავის არსში ატარებს უტყუარ შესაძლებლობას ცოლსა და ქმარს შორის ოჯახში წამოჭრილი რთული, კონფლიქტური ხასიათის საკითხების გადაწყვეტისა მშვიდ ატმოსფეროში. ზემომინიშნებული გარემოება მიმაჩნია მთავარი ფაქტორის ტოლფას გარემოებად, რადგან მისი მეშვეობით, მრავალი, ყოველდღიური ყოფიერებიდან აღმოცენებული ანტოგონისტური ხასიათის საკითხი შესაძლებელია უმტკივნეულოდ გატანილი იყოს "სამშვიდობო გზაზე" და გადაიჭრას ისე, რომ ოჯახისათვის არ მოხდეს ზიანის მიყენება.¹²⁷

როგორც უკვე აღინიშნა დღეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დაიდო დაქორწინების მსურველ პირებს შორის, შედის ძალაში მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხდება ქორწინების კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაცია. საყურადღებოა შემდეგი გარემოება, იქიდან გამომდინარე, რომ კონტრაქტის მხარეები არიან დაქორწინების მსურველი პირები, მათ აქვთ შესაძლებლობა ქორწინების რეგისტრაციამდე შეადგინონ და გააფორმონ საქორწინო კონტრაქტი არა ერთხელ, არამედ რამდენჯერმე. ქორწინების კანონის თანახმად, რეგისტრაციის მომენტიდან იურიდიული ძალის მქონედ ჩაითვლება მხოლოდ ის კონტრაქტი,

¹²⁶ იქვე. გვ.80

¹²⁷ ჯორბენაძე ს., საცხოვრებელი სახლი და მოქალაქეთა საბინაო უფლება- მოვალეობა. თბილისი, 1973

რომელიც გაფორმებული იქნაო ყველაზე ბოლოს, ხოლო რაც შეეხება კონტრაქტს, გაფორმებულს ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ, იგი ავტომატურად ძალაში შედის მეუღლეთა მიერ მისი ხელმოწერის დღეს. მოცემულ შემთხვევაში, მართებულად ვთვლი მოსაზრებას, რომლის შესაბამისადაც, თავად ქორწინების ფაქტს მოჰყავს მოქმედებაში, ანუ ძალაში შეჰყავს საქორწინო კონტრაქტი, და ის ამავდროულად ანიჭებს კონტრაქტს იურიდიულ ძალას.

საქორწინო კონტრაქტის დადებასთან უშუალო კავშირშია მხარეთა ქმედუნარიანობის საკითხი. მოგეხსენებათ, რომ ქმედუნარიანობა არის პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ქმედუნარიანობა წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.

საქართველოში ცვლილებამდელი კოდექსი იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ 18 წელს მიუღწეველ პირებს ექორწინათ, რაც დღეის მდგომარეობით ყოვლად დაუშვებელია. ასევე რუსეთის ფედერაციაშიც საქორწინო ასაკად მიიჩნევა 18 წელი, თუმცა საპატიო მიზეზების არსებობისას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის ადგილის მიხედვით 16 წელს მიღწეულ პირებს მათივე თხოვნით ანიჭებს ქორწინების უფლებას, რომლებმაც მიაღწიეს 16 წლის ასაკს, . რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს მინიჭებული აქვთ უფლება თავისი კანონებით განსაზღვრონ წესრიგი და პირობები ისეთი განსაკუთრებული შემთხვევებისათვის, როდესაც 16 წელს მიუღწეველი პირები ქორწინდებიან. განსაკუთრებულ შემთხვევებს, როგორც წესი, მიეკუთვნება: ორსულობა, ბავშვის დაბადება, ერთ-ერთი მხარის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა და სხვა“.¹²⁸

სსკ 1175-ე მუხლის მიხედვით, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს ქორწინების რეგისტრაციამდე შეუძლია დადოს საქორწინო კონტრაქტი მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. სსკ 1198-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, კანონიერ წარმომადგენლებად, უპირველეს ყოვლისა, გვევლინებიან მშობლები, რომლებიც განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში.¹²⁹ მართალია, ზემოხსენებული 1175-ე მუხლი კრძალავს საქორწინო კონტრაქტის დადებას შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის გარეშე, მაგრამ ამავე კოდექსის 63-ე მუხლი მიგვითითებს, რომ თუ არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებას

¹²⁸ 2001.02.050. МАКСИМОВИЧ Л.Б. БРАЧНЫЙ ДОГОВОР (КОНТРАКТ): ПРАВОВЫЕ РЕЖИМЫ ИМУЩЕСТВА СУПРУГОВ. ПОНЯТИЕ И СУЩНОСТЬ БРАЧНОГО ДОГОВОРА. ПОРЯДОК ЗАКЛЮЧЕНИЯ, ИЗМЕНЕНИЯ И РАСТОРЖЕНИЯ БРАЧНОГО ДОГОВОРА. – М. : Ось-89, 2000. - 112 с. С. 178-179
https://cyberleninka.ru/article/v/2001-02-050-maksimovich-l-b-brachnyy-dogovor-kontrakt-pravovye-rezhimy-imuschestva-suprugov-ponyatie-i-suschnost-brachnogo-dogovora?fbclid=IwAR38GOzjQE1WZrN4QoVy29nCa8mxh4_mCpCIK1BA4nX6iRcGcokWPPX9Dts

¹²⁹ თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, გვ. 81-82

(ხელშეკრულებას) წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ კონტრაქტის ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას. ასევე ყურადღება გავამახვილოთ სსკ 65-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც, კონტრაქტი, რომელიც დადებულია არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად თუკი არასრულწლოვანმა კონტრაქტით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა ან ამ წარმომადგენლების თანხმობით მესამე პირებმა ამ მიზნით ან/და თავისუფალი განკარგვის მიზნით.¹³⁰

5.2 საქორწინო კონტრაქტის ფორმა

სამოქალაქო სამართალში კანონმდებელი გვამლევს შესაძლებლობას გამოვავლინოთ ნება სხვადასხვა საშუალებით, კერძოდ, მოქმედებით ან უმოქმედობით, ზეპირად ან წერილობით, დუმილით ან კონკლიუდენტური მოქმედებით. ყოველივე ჩამოთვლილი წარმომადგენს ნების გამოვლენის ფორმებს.

გარიგების ფორმა, ნების გამოვლენის არსებობის გარეგნული გამოხატვაა, რომელსაც კანონი სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს.

კოდექსის 68-ე მუხლი განსაზღვრავს გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი.¹³¹

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსის 1174-ე მუხლი მიუთითებს, რომ საქორწინო ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და საჭიროებს სანოტარო წესით დასტურდებას.

გარიგების მარტივი წერილობითი ფორმის შემთხვევაში გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისია გარიგებაში მონაწილე მხარეთა ხელმოწერა. ხელმოწერა გულისხმობს გარიგებისათვის სპეციალურად შედგენილ დოკუმენტზე ხელისმოწერას. ხელისმოწერა უნდა განხორციელდეს საკუთარი ხელით და მითითებული უნდა იყოს ხელმომწერის სახელი და გვარი (სრულად) გარკვევით. დოკუმენტზე ხელმოწერა ასევე დაიშვება წარმომადგენლის მეშვეობით. ამ პროცედურის შესახებ ჩვენ მოგვიანებით გავამახვილებთ ყურადღებას ამავე პარაგრაფში. მარტივი წერილობითი ფორმის გარდა,

¹³⁰ იქვე, გვ. 84

¹³¹ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997, გვ. 346, მითითებულია თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, გვ. 84

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს რთულ წერილობით ფორმასაც, რომლის დროსაც გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ გარიგების მხარეთა ხელმოწერა, ამავდროულად აუცილებელია ნოტარიუსის მიერ გარიგების დამოწმება ან/და დადასტურება.¹³²

საქორწინო ხელშეკრულება რეგულირების შესაძლებლობით მოიცავს მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის თითქმის ყველა სფეროს. მეუღლეთა ქონების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებულია მათ ნება-სურვილზე. ამ მხრივ კანონის მხრიდან არავითარი შეზღუდვა არ არსებობს.¹³³

5.3 საქორწინო კონტრაქტის შინაარსი

საქორწინო კონტრაქტის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მისი შინაარსი. იგი შეიძლება შედგებოდეს რამოდენიმე ნაწილისაგან. ასე მაგალითად, კონტრაქტის ზოგად ნაწილში შეიძლება გადმოცემული იყოს საერთო ხასიათის ის დებულებანი, რომლებიც განსაზღვრავენ საქორწინო კონტრაქტისა და მოქმედი საოჯახო კანონმდებლობის თანაფარდობის საკითხს, კონტრაქტის მონაწილე მხარეთა ვალდებულებებს ქორწინების შენარჩუნებისა და საოჯახო ურთიერთობათა განმტკიცების სფეროში, განქორწინების შემთხვევისათვის თანაზიარი საკუთრების ობიექტებზე ინდივიდუალური ქონების რეჟიმის დაწესებას, განქორწინებაში თითოეული მეუღლის ბრალეულობის გათვალისწინებას და სხვ. აშშ-ის მაგალითზე დაყრდნობით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ "ქართული საქორწინო კონტრაქტი"-ის ზოგადი ნაწილი მოიცავდეს დეკლარაციული ხასიათის განსაზღვრებებსა და დათქმებს, აგრეთვე თეზისური ხასიათის ინფორმაციას, რომელთა მთავარი მიზანი და ამოცანა არის ოჯახის სიმტკიცის უზრუნველყოფის გზების და ხერხების ჩამონათვალი, აქცენტირება კი მათში უნდა ხდებოდეს მხარეთა სიყვარულის ძალაზე და სულიერ სიმტკიცეზე. ამ ნაწილში შესაძლებელია აღნიშნული იყოს, რომ მხარეებს შორის არსებობს სიყვარულის წმინდა გრძნობა, რომელიც განაპირობებს მათ სურვილს იყვნენ ერთად და შექმნან ოჯახი და რომ მათ არ სურთ ყოველდღიური პრობლემების ფონზე მატერიალური და არამატერიალური სიკეთის ისეთი განკარგვა, რომელიც შესაძლოა გახდეს კონფლიქტის შედეგი და მათ შორის გაუგებრობის მიზეზი. იმისათვის, რომ მათ თავი აარიდონ ზემოაღნიშნულ პრობლემებს და არ მისცენ საშუალება "მიწიერ", ყოფითი ხასიათის საკითხებს რაიმე უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ მათ სიყვარულზე, ისინი ადგენენ საქორწინო კონტრაქტს.¹³⁴

¹³² თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, გვ. 84

¹³³ ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 78

¹³⁴ თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, გვ. 88

აღსანიშნავია, რომ საქორწინო კონტრაქტი იძლევა საშუალებას, რომ მისი შინაარსის ძირითად ნაწილში განისაზღვრული იქნას მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში მომავალში შეძენილი ქონების გარკვეული სახეების სამართლებრივი რეჟიმი. კონტრაქტში ასევე შეიძლება იყოს გათვალისწინებული დამატებითი პირობები. ამჟამად მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1176-ე მუხლი ეძღვნება საქორწინო კონტრაქტის შინაარსს.

საქორწინო ხელშეკრულებით არ შეიძლება მეუღლეთა პირადი არაქონებრივი უფლებებისა და ბავშვთა მიმართ მათი უფლებების და მოვალეობების რეგულირება, საქორწინო ხელშეკრულებას, როგორც სპეციალურ სუბიექტურ შემადგენლობის მქონე შეთანხმებას, შეუძლია მხოლოდ მეუღლეთა ქონებრივი ურთიერთობების განსაზღვრა და მასში არ უნდა შედიოდეს პირობები, რომელიც მესამე პირებს შეეხებათ.¹³⁵

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში შეძენილ ქონებაზე. საქორწინო ხელშეკრულებით მეუღლეებს შეუძლიათ შეცვალონ მეუღლეთა საერთო საკუთრებისათვის კანონით დადგენილი წესი. მეუღლეებს შეუძლიათ გააერთიანონ მთელი თავიანთი ქონება, რომელშიც ჩაირიცხება ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონებაც (საერთო ქონება), ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ თქვან უარი ამგვარ გაერთიანებაზე და დაადგინონ თითოეულის წილობრივი ან განცალკევებული საკუთრება ქონებაზე (სსკ-ის 1176- მუხლი).

ქორწინების პერიოდში მეუღლეებმა შეიძლება სხვადასხვა დროს შეიძინონ ესა თუ ის ქონება. მათ უფლება აქვთ არაერთგვარი სამართლებრივი სტატუსი განუსაზღვრონ თითოეულ მათგანს. ამიტომ საკვებით შესაძლებელია მეუღლეთა შორის დაიდოს რამდენიმე ხელშეკრულება როგორც უკვე არსებულ, ისე მომავალში (სავარაუდოდ) შეძენილ ქონებაზე. დღევანდელ საქართველოში სახელშეკრულებო პრაქტიკა არ გამოირჩევა მეუღლეთა შორის დადებული ხელშეკრულებების სიუხვით და სიმდიდრით, როგორც რიცხობრივ, ასევე არსობრივ ასპექტში.¹³⁶

საქორწინო კონტრაქტის შინაარსის მნიშვნელოვან და აქტუალურ ნაწილს შეადგენს მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილების წესი განქორწინების შემთხვევისათვის. (მეუღლეების მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონების განაწილების წესი განქორწინების შემთხვევისათვის) არის მეტად მნიშვნელოვანი, რადგან მეუღლეებს შეუძლიათ თავიდანვე განსაზღვრონ, ქონების ესა თუ ის ცალკეული ნაწილი რომელ მეუღლეს დარჩება განქორწინებისას. აღნიშნულის გათვალისწინება საქორწინო კონტრაქტში აადვილებს განქორწინებისას ქონებრივი დავის გადაწყვეტას, რადგანაც ქონება ან ქონების ცალკეული ნაწილები, რომელზედაც მათ პოტენციურად შეიძლება ჰქონდეთ დავა, განსაზღვრულია და მას შესაძლებელია

¹³⁵ Игнатенко А./Скрыпников Н., Брачный договор, Законный режим имущества супругов, Москва, 1997, с. 39

¹³⁶ თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, გვ.89

საქორწინო კონტრაქტის მეშვეობით უკვე ჰქონდეს დაწესებული საკუთრების გარკვეული სახე.¹³⁷

უფლებები და მოვალეობები გათვალისწინებული საქორწინო კონტრაქტით შესაძლოა შეიზღუდოს გარკვეული ვადით ან ვითარების დადგომით. კანონი კონკრეტულად არ მიუთითებს იმ ვითარებებსა და პირობებზე, რომელნიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მეუღლეების ქონებრივი უფლებების და მოვალეობების შეზღუდვას. ამგვარი პირობების ჩამოყალიბება მეუღლეთა კომპეტენციაში შედის.

მოცემული დათქმის შინაარსი იმაშია, რომ მეუღლეები თანხმდებიან იმაზე, რომ თუ განქორწინების მიზეზი გახდება ერთ-ერთი მეუღლის უღირსი საქციელი, ისეთი როგორცაა მაგალითად ცოლ-ქმრული ღალატი, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და სხვა. მაშინ ქორწინების პერიოდში შექმნილი მთელი ქონება განქორწინებისთანავე მოექცევა მეორე მეუღლის საკუთრების წილობრივ რეჟიმში, ამავდროულად მხარე, რომელმაც ჩაიდინა უღირსი საქციელი, იღებს საერთო თანასაკუთრების მხოლოდ 1/4-ს, ხოლო მეორე მეუღლე შესაბამისად მიიღებს დარჩენილ 3/4-ს. ვფიქრობ ამგვარი დათქმა საკმაოდ პრაგმატულია და მიზანშეწონილია.

განქორწინების დროს მეუღლეთა შორის ქონებრივი დავის არსებობისას, თუ არსებობს საქორწინო ხელშეკრულება, განქორწინება ხდება სასამართლო წესით. თუ განქორწინების საფუძველია ერთ-ერთი მეუღლის უღირსი საქციელი, მაშინ სასამართლომ უთუოდ შეაფასებს მომხდარს და არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ბუნებრივია გამოიტანს მოტივირებულ გადაწყვეტილებას.

ზემომოცემული მსჯელობიდან გამომდინარე „შიშველი“ დათქმა ცოლქმრული ღალატის შესახებ, არ არის საკმარისი და საჭიროებს შინაარსობრივ შევსებას და ახსნა-განმარტებას. მარტივად რომ ვთქვათ, თუ კონტრაქტში არის პირობა, რომლის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ცოლ-ქმრული ღალატის ფაქტის დადგომა, მაშინ იქვე უნდა იყოს მოცემული ამომწურავი ხასიათის ახსნა-განმარტება, თუ რას მიიჩნევენ მხარეები ცოლ-ქმრულ ღალატად. ამით შესაძლოა აცილებულ იქნას ინდივიდუალური მიდგომის მეორე მხარის მიერ არაადეკვატურად აღქმის შესაძლებლობა, რაც თავიდან ააცილებს მათ აღნიშნული დათქმიდან წარმოშობილ გაუგებრობას. ხოლო თუ საქორწინო კონტრაქტში არ არსებობს ამგვარი ახსნა-განმარტება, მაშინ ცოლ-ქმრულ ღალატად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ სქესობრივი კავშირის დამყარება სხვა ადამიანთან (არამეუღლესთან). სასამართლომ, ჩემი აზრით საქმის განხილვისას ყურადღება უნდა გაამახვილოს აღნიშნულ განმარტების შინაარსზე და მის არსობრივ დატვირთვაზე, ხოლო უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში ცოლ-ქმრულ ღალატად უნდა ჩათვალოს მხოლოდ სქესობრივი აქტი, რომელიც განხორციელდა სხვა ნებისმიერ

¹³⁷ თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, გვ.91

პირთან (განურჩევლივ მისი სქესისა), რომელიც არ წარმოადგენს საქორწინო კონტრაქტის მხარეს.¹³⁸

ამდენად, კანონი არ აძლევს კონტრაქტის მხარეებს სრულ შესაძლებლობას, გამოავლინონ თავიანთი ნება მათი სურვილის შესაბამისად.¹³⁹ იკვეთება სასამართლოს მნიშვნელოვანი როლი მეუღლეთა ნებაზე დამყარებული და მათი ნება-სურვილის გათვალისწინებით შედგენილ საქორწინო კონტრაქტთან მიმართებით. თუმცა, სასამართლოს მხოლოდ მაშინ შეუძლია ჩარევა, თუ ამას დაინტერესებული მხარე მოინდომებს.¹⁴⁰

საქორწინო კონტრაქტი რეგულირების შესაძლებლობით მოიცავს მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის თითქმის ყველა ასპექტს. მეუღლეთა ქონების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა მთლიანად დამოკიდებულია მათ ნებასურვილზე. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მხარეებს აძლევს შესაძლებლობას საქორწინო კონტრაქტში გაითვალისწინონ ე.წ. „გახანგრძლივებული რეჟიმი“, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში თანასაკუთრება ვრცელდება ცოცხლად დარჩენილ მეუღლესა და მემკვიდრეებს შორის.¹⁴¹

რაც შეეხება მეუღლეთა ქონებრივ უფლება მოვალეობათა სხვა სახეებს, მათ მიმართ კანონმდებელი განსაზღვრულ სიფრთხილეს იჩენს. ეს სფერო ძირითადად მოიცავს მეუღლეთა ქონებრივ ვალდებულებებს და ზოგიერთ მათთან დაკავშირებულ უფლებას. კერძოდ, საქორწინო კონტრაქტით არ შეიძლება მეუღლეთა სურვილის მიხედვით შეიცვალოს კანონით დადგენილი ურთიერთრჩენის მოვალეობა, რადგან მის შეცვლას შესაძლებელია მოჰყვეს ერთ-ერთი მეუღლის ან ორივეს მატერიალური მდგომარეობის გაუარესება. არ შეიძლება მშობლები შეთანხმდნენ იმაზე, რომ შვილები მხოლოდ ერთ-ერთმა მეუღლემ არჩინოს და აღზარდოს და მეორე საერთოდ გათავისუფლებული იყოს მშობლის უფლებამოვალეობისაგან; არ შეიძლება მეუღლეთა შეხედულებით შეიცვალოს მათი საალიმენტო ვალდებულებანი, არამარტო ერთმანეთის მიმართ, არამედ სხვა პირთა მიმართაც. საქორწინო კონტრაქტით არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხარეთა შორის დავის შემთხვევაში, მის გადასაწყვეტად სასამართლოსადმი მიმართვის კანონით გათვალისწინებული უფლების შეცვლა, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა შესახებ კონსტიტუციურ პრინციპებსა და დებულებებს.¹⁴²

¹³⁸ თუმანიშვილი, გ. გ., დათქმა ცოლ-ქმრული დალატის შესახებ, როგორც საქორწინო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი. სამეცნიეროპრაქტიკული იურიდიული ჟურნალი „სამართალი“, თბილისი, 2003, გვ. 36-38

¹³⁹ თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, გვ.96

¹⁴⁰ ქანთარია გ./ჯგერენაია ვ., სტატია: მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, #8, თბილისი, 2018, გვ.95

¹⁴¹ Muenchner Kommentar zum BGB. – Muenchen, 1987. B.5. – S.547-732

¹⁴² თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, გვ. 98

5.4 საქორწინო კონტრაქტის შეწყვეტა

ისევე როგორც ნებისმიერი სხვა შეთანხმება, საქორწინო კონტრაქტი წარმოადგენს მხარეთა შორის, ნებელობით აქტის. მისი გაფორმება და შეწყვეტა დამოკიდებულია მეუღლეთა ნება-სურვილზე. ამიტომ კოდექსში აღნიშნულია, რომ ნებისმიერ დროსა არის შესაძლებელი საქორწინო კონტრაქტის შეცვლა ან შეწყვეტა. ხსენებული "შეცვლა" ან „შეწყვეტისათვის“ აუცილებელი პირობაა, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით იქნას გამართული და მას მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები, ამისათვის აუცილებელია მეუღლეთა ურთიერთშეთანხმება. კანონმდებლის პოზიციას მოცემულ საკითხთან მიმართებაში გარკვევით აყალიბებს სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლის 2 ნაწილი. აკრძალულია საქორწინო კონტრაქტის ცალმხრივად მოშლა რომელიმე ერთი მხარის მიერ. მხარეებს ევალებათ თავის კრედიტორებს შეატყობინონ ინფორმაცია საქორწინო კონტრაქტის დადების, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში კრედიტის მქონე მეუღლე, კრედიტორთან წამოიჭრილი ქონებრივი დავის შემთხვევაში, ვეღარ დაეყდრდება ვერც საქორწინო კონტრაქტს და ვერც მასში არსებულ სამართლებრივ მდგომარეობებს, რომელშიც განსაზღვრულია კრედიტორთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ურთიერთობის საკითხები. აქედან გამომდინარე, ვალის მქონე მეუღლე ვალდებული იქნება თავად დააკმაყოფილოს კრედიტორის მოთხოვნა. ანუ მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა შევიდეს კონტრაქტში ცვლილებები და შესაბამისად ეს აისახოს მოვალემეუღლის მატერიალური მდგომარეობაზე (ასე მაგალითად: ვალის მქონე მეუღლის ქონება გადავიდა მისი მეუღლის პირად საკუთრებაში, ან გადაიქცა ორივე მეუღლის თანასაკუთრებად, ან შემცირდა ვალის მქონე მეუღლის წილი მეუღლეთა თანასაკუთრებაში, და ა.შ.). თუ არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ კრედიტორს ეცნობა კონტრაქტის ტექსტში შეტანილი ცვლილებების თაობაზე, ვალის მქონე მეუღლე ვალდებულია დააკმაყოფილოს თავისი კრედიტორის (კრედიტორების) მოთხოვნა. კანონმდებლის პოზიციას მოცემულ საკითხთან მიმართებაში ვთვლი აბსოლუტურად სწორად და გამართლებულად, შემდეგი მიზეზებების გამო: უპირველეს ყოვლისა ვალის მქონე მეუღლე ვალდებულია, რომ შეატყობინოს კრედიტორს საქორწინო კონტრაქტის გაფორმების, მასში ცვლილებების შეტანის ან შეწყვეტის შესახებ; მეორე, ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაძლებლობას აძლევს კრედიტორს, რომ დროულად მიიღოს აუცილებელი ინფორმაცია ვალის მქონე მეუღლის მატერიალური მდგომარეობის შესახებ, აქედან გამომდინარე, თუ იგი გაუარესებისკენ წავა, მიიღოს შესაბამისი ზომები საკუთარი ინტერესების და ფინანსების დასაცავად. ბუნებრივია ამგვარი ინფორმაციის მიღების შემდეგ, კრედიტორი მოითხოვს მეუღლეებისგან, რომ არ მოახდინონ კონტრაქტში არსებული პირობების შეცვლა. აგრეთვე ბუნებრივია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარი ფინანსური ინტერესების დაცვის მიზნით კრედიტორი დაუყონებლივ მოითხოვს ვალის მქონე მეუღლესა და მას შორის არსებული სესხის ხელშეკრულების მოშლას, მას აგრეთვე

შეუძლია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება კანონით დადგენილი წესისა და კონტრაქტში გათვალისწინებული პირობების მიხედვით.

ზემომოყვანილი კონტექსტის გათვალისწინებით, საჭიროდ მიმაჩნია ავლნიშნო, რომ თუნდაც საოჯახო კანონმდებლობა (პირდაპირ) არ ავალდებულებს მოვალე-მეუღლეს გააცნოს კრედიტორს საქორწინო კონტრაქტის შინაარსი, მაგრამ ზემოაღნიშნული ნორმის მიხედვით, მოვალე-მეუღლემ უნდა გააცნოს („უნდა“ გააცნოს – ესე იგი, „ვალდებულია“ გააცნოს) კრედიტორს კონტრაქტის ის ნაწილი, რომელიც შეეხება მოვალის მატერიალური მდგომარეობის შეცვლის საკითხს.¹⁴³

ამრიგად, ვფიქრობ, რომ კანონმდებლის პოზიცია არის სამართლიანი, რომლის მიხედვითაც ვალის მქონე მეუღლის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა საკმარის გარემოებად უნდა იყოს მიჩნეული, რათა კრედიტორს მიენიჭოს უფლება, რათა მან თავისი კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით მიმართოს სასამართლოს.

თუ კრედიტორის მოთხოვნის შემდეგ მეუღლეები გარიგების პირობების შეცვლაზე ვერ შეთანხმდებიან, ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გარიგება მოშალოს ზოგადი წესით, ან შეცვალოს ზოგადი წესიდან გამონაკლისის სახით. ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მოვალის მატერიალური მდგომარეობის არსებითი გაუარესების საფუძველზე, შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებით გამონაკლის შემთხვევებში მაგალითად: გარიგების შეწყვეტა ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს, ან ერთ-ერთ მხარეს მიაყენებს მნიშვნელოვან ზიანს, ან სხვა.¹⁴⁴

თუ კრედიტორთან შეთანხმების შემდგომ, მეუღლეები მოშლიან ან შეცვლიან კონტრაქტში გათვალისწინებულ პირობებს, ამ შემთხვევაში, ახალი პირობები ან/და გარიგების სრულად მოშლა ძალაში შესულად უნდა ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც ფორმის დაცვით მოხდება მხარეთა შეთანხმება, ანუ ხელი მოეწერება წერილობით შესრულებულ ცვლილებებს, თუ ახალი ხელსეკრულებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსში საქორწინო კონტრაქტი განიხილება როგორც ჩვეულებრივი ხასიათის მქონე გარიგება და შესაბამისად, მასზე ვრცელდება როგორც კანონით დადგენილი სპეციალური საფუძვლები, ისე გარიგებების შეწყვეტისთვის დადგენილი საერთო პრინციპები.

ზემომოყვანილი კონტექსტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ავლნიშნო, რომ საქორწინო კონტრაქტი სამართლებრივად შეწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს, მხოლოდ იმ მომენტის დადგომისას, როდესაც საქორწინო კონტრაქტში გათვალისწინებული პირობები (ვალდებულებები) შესრულდება სრულად.

¹⁴³ თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, გვ. 100

¹⁴⁴ იქვე, გვ. 101

გამოთქმული მტკიცებულების სამართლებრივი საყრდენი არის ის გარემოება, რომ არსებობს მთელი რიგი შემთხვევებისა, როდესაც მეუღლეებს შეუძლიათ საქორწინო კონტრაქტში გაითვალისწინონ ისეთი პირობები, რომელთა შესრულების ვალდებულება დგება განქორწინების შემდეგ პერიოდში. ეს კი ნიშნავს იმას, რომ საქორწინო კონტრაქტი ძალაშია იმ დრომდე, სანამ არსებობს აღნიშნული ვალდებულებების შესრულების მოთხოვნა.¹⁴⁵

5.5 საქორწინო კონტრაქტის ბათილობა

საქორწინო კონტრაქტი ბათილად შეიძლება იქნეს ცნობილი იმავე საერთო წესის მიხედვით, რომელიც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ზოგადად გარიგებებისათვის. 1. ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია ერთი მხარის მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით; 2. ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს; 3. ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია მცირეწლოვანის ან სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მიერ; 4. ბათილია ის საქორწინო კონტრაქტი, რომელიც დადებულია სულით ავადმყოფის მიერ, თუნდაც ის არ იყოს სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული; 5. ბათილია კანონით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული საქორწინო კონტრაქტი; 6. ბათილია მოტყუებით დადებული საქორწინო კონტრაქტი; 7. ბათილია იძულებით დადებული საქორწინო კონტრაქტი.¹⁴⁶ ასე მაგალითად, რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით „საქორწინო კონტრაქტის შეცვლისა და ბათილობის საფუძვლად განიხილება გარემოებათა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომლებსაც მხარეები ეყრდნობოდნენ კონტრაქტის შედგენისას. გარემოებათა ცვლილება მიიჩნევა არსებითად, როდესაც ისინი შეიცვალა იმდენად, რომ მხარეებს აღნიშნული წინასწარ განეჭვრიტათ საქორწინო კონტრაქტი არ შედგებოდა შეცვლილი პირობების გათვალისწინებით ან საერთოდ არ შედგებოდა. მაგალიტად, მხარეებმა გაარკვიეს, რომ ისინი არიან ერთმანეთის ნათესავები“.¹⁴⁷

რაც შეეხება საქორწინო კონტრაქტის ბათილობის საკითხს, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ისევე როგორც სხვა სახის გარიგებებში, საქორწინო კონტრაქტის ნაწილის ბათილობა, არ იწვევს კონტრაქტის სხვა ნაწილების ან მთლიანი კონტრაქტის

¹⁴⁵ თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, გვ. 102

¹⁴⁶ იქვე, გვ. 103

¹⁴⁷ Гонгало Б.М., Крашенинников П.В. Содержание брачного договора// Семейное и жилищное право, 2005. § 4. С. 11

https://www.studmed.ru/view/gongalo-bm-krashennnikov-pv-brachnyy-dogovor_c1c4b7a265e.html?fbclid=IwAR0PetZWUse74SujrEKknPGDm2eI_yzFIUmc5R10ckNjHEUoMd6IwFYHR4M

ბათილობას. ამავე დროს კანონმდებელი აკეთებს შემდეგ დათქმას, რომ საქორწინო კონტრაქტის სხვა ნაწილების ან მთლიანი კონტრაქტის ბათილობა არ გამოიწვევს, თუ გარიგება მაინც დაიდებოდა ამ ბათილი ნაწილის არ არსებობის შემთხვევაშიც.

საქართველოში დღევანდელი დღისათვის არ არსებობს საქორწინო კონტრაქტის შემუშავებული ერთიანი ფორმულარი, რომელიც გამოყენებულ იქნება საქართველოში ნოტარიუსების მიერ საქორწინო კონტრაქტის დადებისას. პრაქტიკოს იურისტებს ამ საკითხზე საფუძვლიანად ჯერ არ უმუშავიათ, გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ საქორწინო კონტრაქტისადმი მოთხოვნილება (საზოგადოებრივი დაკვეთა) საქართველოში საკმაოდ დაბალია. საქორწინო კონტრაქტის ერთიანი ფორმულარის არსებობა მნიშვნელოვანია, როგორც იურისტებისათვის (ნოტარიუსი, ადვოკატი, მოსამართლე) ისე თვით იმ მოქალაქეებისათვის, რომლებსაც აქვთ სურვილი დადონ საქორწინო კონტრაქტი.¹⁴⁸

საქორწინო კონტრაქტი ვფიქრობ იდეალური მექანიზმია მეუღლეთა ქონებრივი უფლებების და მოვალეობების რეგულირებისათვის. რადგან კანონმდებელი გვამდევს საშუალებას მეუღლეებმა დაიცვან თავისი ფინანსური ინტერესები და თავიდან იქნას აცილებული ბევრი პრობლემა და გაუგებრობა.

დასკვნა

საოჯახო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი არის მეუღლეთა თანასაკუთრება, რომელიც არის ორი სახის და რეგულირდება ორი სამართლებრივი რეჟიმით. კერძოდ, მეუღლეთა თანასაკუთრება არის საერთო საკუთრების და ინდივიდუალური საკუთრების სახით, ხოლო ამ ორივე სახის საკუთრებას არეგულირებს კანონისმიერი და სახელშეკრულებო კანონმდებლობა.

სამაგისტრო ნაშრომში დეტალურად განვიხილეთ ყველა საკითხი, რომელიც ეხება მეუღლეთა თანასაკუთრებას, ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა სწორედ ის შედეგი, რომელსაც ველოდი ქართული კანონმდებლობისგან, ანუ სამართლიანი და ვფიქრობ სწორი მიდგომა აქვს კანონმდებელს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მოცემული სამაგისტრო ნაშრომის კვლევის პროცესში ჩემს მიერ გამოყენებული იურისტ-მეცნიერთა ნაშრომები, მათი კომენტარები და სტატიები საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა ჩემთვის. კვლევის მიზანი იყო მოცემულ თავებში განგვიხილა ყველა საკითხი და მიგვეცა სამართლებრივი შეფასება და ანალიზი, რაც ვფიქრობ წარმატებით განხორციელდა. მივყვეთ თანმიმდევრობით.

¹⁴⁸ თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010, გვ.104

დასაწყისში განვიხილეთ მეუღლეთა თანასაკუთრება, სადაც გავამახვილეთ ყურადღება თანასაკუთრებაში არსებული ქონების ცნებასა და სახეებზე. ქონების სახეებზე საუბრისას ყურადღება დაეთმო როგორც მატერიალურ ისე არამატერიალურ სიკეთეებს. გამომდინარე იქიდან, რომ ხშირ შემთხვევაში მეუღლეთა თანასაკუთრება გვხვდება ნივთის სახით, ამიტომ ძირითადი აქცენტი გაკეთებული იქნა როგორც მოძრავ ისე უძრავ ნივთზე, მათი შეძენის, რეგისტრაციის და გასხვისების დეტალებზე. ამავე თავის მეორე საკითხად განხილული იქნა მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის საფუძველი. კერძოდ სამოქალაქო სამართლის კოდექსის თანახმად რა ითვლება საკუთრებად და მეუღლეთა თანასაკუთრებად.

მეუღლეთა თანასაკუთრების საკითხი იქნა გამოკვლეული მომდევნო თავში. ამ თავში საუბარი შეეხო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორც არის ინდივიდუალური და საერთო თანასაკუთრება. ამ ორი საკითხის რეგულირების სფეროები განსხვავდება და ანიჭებს უფლებას ორივე მეუღლეს, რომ დაიცვან საკუთარი ინდივიდუალური საკუთრება მიღებული ჩუქებით ან მემკვიდრეობით. თუმცა კანონმდებლობა აგრეთვე იცნობს ინდივიდუალური ქონების მეუღლეთა თანასაკუთრებად გადაქცევის ნორმას. საკუთრების სახეების დადგენა და მათი სამართლებრივი რეგულირების საკითხი გვადლევს საშუალებას ვისაუბროთ მომდევნო ორ თავზე, სადაც კვლევა განხორციელდება თანასაკუთრების გაყოფის კანონისმიერ წესებზე და საქორწინო ხელშეკრულებაზე.

თანასაკუთრების გაყოფის კანონისმიერი წესი წარმოადგენს ალბათ ყველაზე გამოყენებად ნორმებს ქართულ სამართალწარმოებაში. გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ სამართალწარმოებაში საქორწინო ხელშეკრულება არ სარგებლობს დიდი პოპულარობით და მას მეუღლეები იშვიათად მიმართავენ, ყველაზე მნიშვნელოვანი და გამოყენებადი მაინც თანასაკუთრების გაყოფის კანონისმიერი წესებია. კვლევის პროცესში შევხებთ როგორც საერთო ქონების გაყოფის საკითხებს, ისე მეუღლეთა ვალების გაყოფის წესს. გამომდინარე იქიდან, რომ მეუღლეების ქონება მხოლოდ აქტივებისგან არ შედგება და ხშირად კრედიტორების წინაშე ვალდებულებებსაც მოიცავს, ვიფიქრე, რომ აუცილებელი იყო შევხებოდით ამ სფეროსაც, რათა სრულყოფილად წარმოგვეჩინა ყველა ნიუანსი, რომელიც მეუღლეთა აქტივებს და პასივებს ეხებოდა.

საქორწინო ხელშეკრულების კვლევამ მაჩვენა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს მეუღლეთა ერთგვარი დაზღვევის საშუალებას, რომელიც იცავს როგორც მეუღლეების, ისე კრედიტორთა ფინანსურ ინტერესებს. მოცემული ხელშეკრულება წარმოადგენს გარიგების ნაირსახეობას, თუმცა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. კანონმდებელმა საკმაოდ სამართლიანად და სწორად განსაზღვრა ამ სახის ხელშეკრულების მახასიათებლები. დასაწყისში, რომ მოცემული ინსტიტუტის დამკვიდრება საქართველოში ძალზედ ნელი ტემპით მიმდინარეობს. თუმცა ევროპის

ქვეყნებში, ამერიკაში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში მას საკმაოდ ფართოდ გამოიყენებენ და ვიმედოვნებ, რომ ასეთი სახის ხელშეკრულება საქართველოში მალე დაიმკვიდრებს თავს. ვფიქრობ, კარგი იქნება თუ საქორწინო ხელშეკრულების შესახებ გამოიცემა ერთგვარი ბუკლეტები, რომლებიც გადაეცემათ დაქორწინების მსურველ წყვილებს მარეგისტრირებელ ორგანოში განცხადების შეტანისას.

ინფორმაციის ნაკლებობა და კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის უქონლობა უბიძგებს მოქალაქეებს, რომ დამოკიდებულნი იყვნენ მხოლოდ კანონისმიერ ნორმებზე, რაც მართალია დეტალურად არის გაწერილი კოდექსში, მაგრამ ვერ ახერხებს მოქალაქეთა სრულფასოვან დაცვას, რასაც უზრუნველყოფს საქორწინო კონტრაქტი, სწორედ ამიტომ ნაშრომში საკმაოდ დიდი ადგილი დაეთმო მოცემული საკითხის განხილვას.

მეუღლეთა თანასაკუთრება არის ის ქონება, რომელსაც ისინი იძენენ ქორწინების შემდგომ, სწორედ ამ საკუთრების გაყოფა ხდება განქორწინებისას, ამ უფლების გამოყენების უფლება აქვს მხარეს განქორწინებიდან სამი წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადა სამოქალაქო კოდექსის 1171-ე მუხლით არის დადგენილი.

ბიბლიოგრაფია

1. ამირანაშვილი გ., გარიგების ფორმის ფუნქციები, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2016
2. ზარანდია თ., საკუთრების უფლების სავინდიკაციო დაცვა ქართულ სამართალში, 2015 წლის 5-6 ნოემბრის სამეცნიერო კონფერენციის მასალებში: „საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა. სტაბილურობის ტრანსფორმაცია“, თბილისი, 2016
3. ზარანდია თ./ჯუღელი თ, საკუთრების უფლების ექსკლუზიური ხასიათი და საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება, თბილისი, 2012
4. ზოიძე ბ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი, 1999
5. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, თბილისი, 2003
6. ზოიძე ბ., საკუთრების უფლების ევოლუცია ქართულ სამართალში, 2015 წლის 5-6 ნოემბრის სამეცნიერო კონფერენციის მასალებში: „საკუთრება და სამართლებრივი სტაბილურობა. სტაბილურობის ტრანსფორმაცია“, თბილისი, 2016
7. თოთლაძე ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 2016 <http://www.gccc.ge/>
8. თოთლაძე ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 2017 www.civilcode.ge
9. თუმანიშვილი, გ. გ., დათქმა ცოლ-ქმრული ღალატის შესახებ, როგორც საქორწინო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი. სამეცნიერო პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი „სამართალი“, თბილისი, 2003
10. თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტის ინსტიტუტის დამკვიდრების პრობლემა საქართველოში, სოროსის საგანმანათლებლო ჟურნალი, თბილისი, 2003
11. თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, როგორც მეუღლეთა შორის არსებული ქონებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთი საფუძველი, ჟურნალი „სამართალი“, №4-5, 2003
12. თუმანიშვილი გ.გ., "საქორწინო კონტრაქტის წარმოშობა და განვითარება", Georgian Electronic Scientific Journal: Jurisprudence №2-2004.

13. თუმანიშვილი გ.გ., საქორწინო კონტრაქტი, მონოგრაფია, თბილისი, 2010
14. კალანდაძე თ., მეუღლეთა თანასაკუთრების წარმოშობის სამართლებრივი საფუძვლები, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2(29), თბილისი, 2011
15. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009
16. კვინიკაძე ქ./ ჩხაიძე გ., მტკიცების ტვირთი სამოქალაქო პროცესში და მისი სუბიექტები- მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები, ჟურნალი, „მართლმსაჯულება და კანონი“, №1(44), 2015
17. კუსიანი ე., საქორწინო კონტრაქტი - მოქმედი სამართლებრივი ინსტიტუტი თუ თეორიული ფორმულაცია? თბილისი, 2012

<http://www.library.court.ge/upload/47022012-09-26.pdf>
18. ლაფაჩი ე., უძრავ ნივთზე ქონებრივი უფლების რეგისტრაციის პრინციპები ქართული და გერმანული კანონმდებლობის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, №1, თბილისი, 2013
19. რუსიაშვილი გ., კაზუსები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2015
20. შენგელია რ./ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე-მეექვსე, თბილისი, 2000
21. ქანთარია გ./ჯგერენაია ვ., სტატია: მეუღლეთა თანასაკუთრების განკარგვის რამდენიმე პრობლემური თავისებურება, სამეცნიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, #8, თბილისი, 2018
22. ღლონტი ი., ქონებრივი ურთიერთობანი მეუღლეთა შორის, #8 (128), თბილისი, 2010, "აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსების" სტატიები, <http://www.aaf.ge/index.php?menu=1&jurn=0&rubr=0&mas=810>
23. შენგელია რ./ შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბილისი, 2011
24. შენგელია რ./ შენგელია ე., საოჯახო და მემკვირდეობის სამართალი, თბილისი, 2015
25. შოთაძე თ., სანივთო სამართალი, თბილისი, 2014
26. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბილისი, 1999
27. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, მე-4 გამომცემლობა, თბილისი, 2004

28. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1997
29. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 1999
30. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2011
31. ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, მეორე გამოცემა, თბილისი, 2001
32. ჭანტურია ლ./ ნინიძე თ., მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002
33. ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 2017 www.civilcode.ge
34. ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, თბილისი, 2001
35. ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი, თბილისი, 2010
36. ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი, თბილისი, 2014
37. ხვედელიანი დ., საქორწინო–საოჯახო ურთიერთობების ზოგიერთი კოლიზიური საკითხის რეგულირების თავისებურებანი საერთაშორისო კერძო სამართალში, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, №2, თბილისი, 2007
38. ჯორბენაძე ს., საცხოვრებელი სახლი და მოქალაქეთა საბინაო უფლება-მოვალეობა, თბილისი, 1973
39. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
40. Emmerich V., in Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 7. Aufl., München, 2016
41. Palandt O./Heinrichs H., Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 63. Auflage, München, 2003
42. Lubens R., The social obligation of property ownership: a comparison of German and U.S. law, Arizona Journal of International & Comparative Law Vol. 24, No. 2, 2007
43. Hansmann H./ Kraakmann R., Property, Contract and Verification: The Numerus Clausus Problem and the Divisibility of Rights, THE JOURNAL OF LEGAL STUDIES, Chicago, 2002

44. Stresemann D., in Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 7. Aufl. München, 2015
45. Schwab D./Löhnig M., Einführung in das Zivilrecht: mit BGB-Allgemeiner Teil, Schuldrecht Allgemeiner Teil, 19. Aufl, München, 2012
46. Michael G. Cochrane, Do We Need a Marriage Contract? , 2010
47. Muenchner Kommentar zum BGB. – Muenchen, 1987
48. Игнатенко А./Скрышников Н., Брачный договор, Законный режим имущества супругов, Москва, 1997
49. 2001.02.050. Максимович Л.Б., Брачный договор (контракт): правовые режимы имущества супругов. Понятие и сущность брачного договора. Порядок заключения, изменения и расторжения брачного договора.- М: Ось- 89, 2000.- 112 с
50. Хобор Р., Национальный юридический журнал теория и практика, семейное право, международно- правовой опыт регулирования имущественных отношений супругов по брачному договору (на примере законодательства ФРГ и США), 2016
51. Гонгало Б.М., Крашенинников П.В. Содержание брачного договора// Семейное и жилищное право, 2005, § 4

სასამართლო გადაწყვეტილებები

52. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი. სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე. N 2 თბილისი, 2003
53. საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 22 იანვრის განჩინება, საქმე №ას-1131-1064-2015
54. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, #9, თბილისი, 2006
55. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 24 იანვრის განჩინება, საქმე №ას-840-798-2013
56. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება, საქმე №ას-189-182-2013
57. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 დეკემბრის განჩინება, საქმე №ას-1004-948-2015

58. საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2002 წლის 9 დეკემბრის განჩინება, საქმე №3კ/932-02
59. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება #1/2/384, 2007 წლის 2 ივლისი